# გრიგალი

თ ფ ი ლ ი ს ი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ოთხშაბათი, 20 (3) სექტემბერი.

1906

წელიწადი პირველი

№ 9

ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი.

№ 9


სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ექვს კაცს ქ. ბახმუტში, ერთს სარატოვში.—სამხედრო-საველე სასამართლოები შემოიღეს კავკავში.—მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი სტუდენტების თავისუფლებას ზღუდავს.—„პატრიოტები" სარელიგიო თხზულებებზე ცენზურას თხოულობენ.—კონ.-დემოკ. პარტიის პეტერბურგის ჯგუფის კრება მოხდა.


მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც პატივი სცეს ჩვენის უდროოთ დაკარგულის მეუღლის და მამის **დოროთეოზ სიმონის-ძის წინამძღვრიშვილის** ხსოვნას როგორც დასაფლავებაზედ დასწრებით, ისე სამგლოვიარო დეპეშებისა და წერილების გამოგზავნით.

მარიამ გიორგის ასული და მიხეილ დოროთეოზის ძე წინამძღვრიშვილები.


## თფილისის ქალაქის თვითმართველობა

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ქალაქის საბჭოს 13 ივლისის 1906 წლის დადგენილების თანახმათ, რომელიც დაამტკიცა თფილისის გუბერნატორმა, ნიხრი თფილისის ეტლებზე დროებით მოსპობილია, ეს ზომა საცდელათაა მიღებული. ფასი უნდა მიეცეს მეეტლეს ორივე მხარის შეთანხმებით დამქირავებლისა და მეეტლისა. თუ ვინიცობაა შეთანხმება ვერ მოხდა ან-და დამქირავებელს არ სურს ვაჭრობა, ამისათვის დაწესებულია შემდეგი მაქსიმალური ნიხრი: ქალაქში „კანეცი" 50 კაპ., 1 საათით დაქირავება 1 მან. ქალაქს გარეთ წასვლა (ნავთლუღი, დიდუბეი, ნაძალადევი, ახალი გოლანდია, ბოტანიკური ბაღი, ორთაჭალა, ვერის ბაღები და სასაფლაო) და უკან დაბრუნება 80 კაპ. თითო „კანეცი". ვოგზლიდან ქალაქში 75 კ.-მდე, ვოგზლიდან ქალაქის განაპირა ადგილებში—1 მ., ვოგზლიდან დიდუბეში და ნაძალადევში 50 კ.-მდე. ამ ფასებზე მეტის გადახდევინება მეეტლეებს არ შეუძლიათ. ყოველივე თვითნებობა ამ შემთხვევაში მეეტლეების მხრით გთხოვთ შეატყობინოთ ქალაქის თვითმართველობას. აგრეთვე აღნიშნული ეტლის ნომერი.


თამამშევის ქარვასლის
ნ ო ქ რ ე ბ ი

საზოგადოების საყურადღებოთ აცხადებენ, რომ 1906 წ. სექტემბრის 20-დან სასტიკათ აკრძალულია მუშტრების დაძახება. ამასთანავე ვაჭრობა წარმოებს შეუვაჭრებლოთ (безъ запроса). ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, ან ნოქარი, ან ხაზეინი, გამოეცხადება ბოიკოტი.

კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12. ნიკოლოზის ქ. № 14.

ვეტცელის თეატრი

ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, 1906 წ., არტისტ: **ტასო აბაშიძის, ვ. გუნიას** და **ა. იმედაშვილის** მონაწილეობით, სახალხო სცენის-მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება:

დამნაშავეა?

დრამა 3 მოქ., თარ. ნიკიტინისა.

II

კომ. პარიზელი ბიჭი 2 მოქ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. ს. რომანიშვილი, მ. კავთელი, თ. აფხაზისშვილი, ნ. საფაროვა, ბ.ბ. ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, გ. ჯაბაური, გ. ანაშვილი, ი. რომანიშვილი, ლ. კულაშელი, ა. ლანდი, გ. ინაშვილი, ა. უმანიევი, ა. ხახანაშვილი და სხ.

დასაწყისი რვანახევარ საათზე. ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

ის ბილეთები, რომლებიც 16 სექტემბრისთვის იყო აღებული, მოქმედობს.

გამგე ალ. ბაქრაძე

20 სექტემბრიდან სომხური გაზეთი

„ნორ-ხოსკ"-ი

(ახალი სიტყვა)

ყოველ დღე გამოვა.

გაზეთი ეღირება წლიურათ 6 მ., თვიურათ 50 კ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Солодкская, № 3.


### რა არის „უშაკოვშჩინა?"

—

რაკი რუსეთის ბიუროკრატია დარწმუნდა, რომ მუშების მოძრაობას ძალადობით ვერ ჩააქრობს, რომ მუშების მოძრაობა აუცილებელი შედეგია მუშების ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებისა,—იგი იძულებული გახდა ამ მოძრაობას გაუწიოს ანგარიში და მუშების მოძრაობა ჩააყენოს იმისთანა კალაპოტში, რომელიც მისთვის—ბიუროკრატიისთვის—ყველაზე ნაკლებ საზარალო იქნება: ბიუროკრატიამ გადასწყვიტა მუშათა მოძრაობა ეკონომიურ ფარგლებში ჩააყენოს და ამით მუშების ყურადღება პოლიტიკურ ბრძოლას ჩამოაშოროს. ეს 6—7 წელიწადია, რაც ცნობილმა „ოხრანნოე ოტდელენიეს" უფროსმა ზუბატოვმა პირველი ნაბიჯი გადასდგა ამ მხრივ: მან დაარსა მოსკოვში „კავშირი მეხანიკურ წარმოების მუშებისა", რომელსაც მთავარ მიზნათ ქონდა—ბრძოლა ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ. ზუბატოვმა წარუდგინა ვრცელი მოხსენება მაშინდელ გენ.-გუბერნატორს, რომელშიაც ამბობდა, მთავრობა უნდა ეცადოს სოც.-დემ. პარტიას იარაღი გამოგლიჯოს ხელიდან, ამისთვის კი საჭიროა მუშების ეკონომიურ ბრძოლას ფართო გზა მივცეთ, რომ ამით თავიდან ავიცილოთ მათი პოლიტიკური ბრძოლაო.

თუმც თითონ ზუბატოვს დიდი მარცხი მოუვიდა თავის მოღვაწეობაში (მის „კავშირში" მალე სოც.-დემ. პროპაგანდამ გაიდგა ფესვები), მაგრამ მისი იდეა არ მომკვდარა და მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ზუბატოვის „მოციქულებში" ყველაზე გავლენიანი გამოდგენ გაპონი და უშაკოვი. გაპონის სიკვდილის შემდეგ ამ უკანასკნელს დარჩა ბურთი და მოედანი. ამჟამათ მისი ორგანიზაცია ისე გაძლიერებულა, რომ ზოგიერთი სოც.-დემოკრატები მას შიშის თვალით უცქერიან. უშაკოვის ორგანიზაციამ ამ ცოტა ხანში გამოსცა თავის გაზეთი—„Раб. газ.", რომელიც საშუალებას გვაძლევს დაახლოვებით გავეცნოთ ე. წ. „უშაკოვშჩინას", გავითვალისწინოთ მისი მიზანი და მისწრაფებანი.

ზუბატოვის მთავარი მიზანი იყო—შეესუსტებინა სოც.-დემოკრატების გავლენა მუშათა მასაზე, სოც.-დემოკრატებისთვის „ხელიდან გამოეცალა უმთავრესი იარაღი". ამავე მიზნით არის გამსჭვალული უშაკოვის გაზეთიც; იგი იწყება და თავდება სოც.-დემოკრატ. დამცირებით, მის წინააღმდეგ დემაგოგობით; ეპიგრაფათ მის გაზეთს აწერია: „მუშების განთავისუფლება—მუშებისვე საქმეაო". სოც.-დემოკრატებმა, გაზეთის აზრით, შემოიღეს ახალი „თვითმპყრობელობა" — ინტელიგენციის თვითმპყრობელობა მუშებზე: „მუშებმა თავი უნდა გაინთავისუფლონ „თვითმპყრობელ" ინტელიგენციის თათრულ უღელიდან; მათ უნდა მხოლოდ თავის საკუთარ ძალ-ღონის იმედი ქონდეთ, თავის განთავისუფლების საქმე თითონ აიღონ თავის ხელში, უნდა წინ წამოაყენონ მოწინავე მუშები, რომლებიც პრაქტიკულათ (და არა კაბინეტის ფანჯრიდან) არიან გაცნობილნი მუშათა ცხოვრებასთან". უშაკოვი ცდილობს ყოველი მარცხი, რომელიც კი ამ ბოლო ხანებში პროლეტარიატს მოსვლია, სოციალდემოკრატებს გადააბრალოს: მათი ბრალია, რომ მუშებმა გაფიცვები წააგეს და უსაქმოთ დარჩენ ქუჩაში; მათი ბრალია, რომ „ჭეშმარიტნი მებრძოლნი ხალხის ბედნიერებისთვის ციხეებში და ციმბირში არიან, დანარჩენები კი (ე. ი. სოც.-დემ.) მაძღრათ ცხოვრობენ რევოლიუციის ხარჯზე, სტკბებიან ცხოვრების სიკეთეებით, დაუვიწყიათ სინიდისი, პატიოსნება და თავხედურათ ურჩევენ მუშებს, წადით საპრძოლველათო. თავის გაბრწყინვებულ კაბინეტიდან ისინი მუშებს აიძულებენ მათს ნებაზე გაიარონ. „წადი, გააკეთე, რასაც გიბრძანებთ, ბევრს ნუ ლაპარაკობ!" ეს კიდევ ცოტაა. მარტო ბრძანებას არ კმარობენ საზიზღარი სოც.-დემოკრატები; თუ მათ ვინმე არ დამორჩილდა, ისინი ტერორით მოქმედებენ: „გაიფიცენით, ამხანაგებო, თორემ ძალადობას ვიხმართ, ამბობენ „თვითმპყრობელი" ხელმძღვანელნი და ტერორს ხმარობენ". ერთი სიტყვით, მთელი გაზეთი სოც.-დემოკრატიის საწინააღმდეგო დემაგოგობით არის გავსილი: არ არის ისეთი ბრალი, რომ ს.-დემ. არ სდებდენ, არ არის ისეთი საზიზღრობა, რომ სოც.-დ. არ აწერდენ, არ არის ისეთი ბოროტ-მოქმედება, რომ სოც.-დ. არ ახვევდენ თავზე. ამ სორტის დემაგოგობას ჩვენი მუშები ძალიან კარგათ იცნობენ; „რაბ. გაზეთ"-ს რომ კითხულობ, ასე გგონია, „ნობათი" და „მუშა" გიდევს წინა.

ზუბატოვს უნდოდა მუშები როგორმე მოეშორებინა პოლიტიკურ ბრძოლისათვის. „უშაკოველები" ამ მხრითაც ზუბატოვის შეგირდები არიან. მათი აზრით, მუშების პოლიტიკაში ჩარევა მხოლოდ საზარალოა. თუ სადმე რამე მოუპოვებიათ მუშებს,—ისევ ეკონომიურ ბრძოლით; „მუშათა დამოუკიდებელ პარტიას" (ე. ი. პოლიტიკისაგან დამოუკიდებელს) დიდი სარგებლობა მოუტანია ინგლისში, საფრანგეთში და სხვაგან. ინგლისში მუშათა კლასმა შედარებით მაღალ კეთილდღეობას მიაღწია. „მერე რით მიაღწიეს ინგლისის მუშებმა ამ მდგომარეობამდის? პარლამენტის საშუალებით?—სრულიათაც არა: მათ გაიუმჯობესეს ცხოვრება იმ ბრძოლით, რომელსაც კაპიტალისტების წინააღმდეგ ეწეოდენ". პოლიტიკურ ბრძოლაში ჩარევაზე, სახელმწიფო წესწყობილების შეცვლაზე მარტო სოც.-დემ. ფიქრობენ: „მათ სურთ ტერორის და შეშინების საშუალებით, ყოველ მუშის რწმენის წინააღმდეგ, დანერგონ იდეა დემოკრატიულ რესპუბლიკისა".

ზუბატოვის მიზანი იყო მუშებისთვის აეცილებინა რევოლიუციონური ბრძოლა და რეფორმების გზაზე დაეყენებინა ისინი. „უშაკოველებსაც" ეგა აქვთ დასახული მთავარ მიზნათ. ისინი არწმუნებენ მუშებს, რომ მთავრობა და კაპიტალისტები ძალიან კეთილი ხალხია, რომ ისინი ყოველთვის მზათ არიან დაეხმარონ მუშებს და დააკმაყოფილონ მათი „კანონიერი" მოთხოვნები. ისინი ცდილობენ დაარწმუნონ მთავრობა და კაპიტალისტები, რომ საჭიროა მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე იზრუნონ: „მთავრობა უეჭველათ უნდა დაეხმაროს უმუშევარ მუშებს, გადაარჩინოს ისინი უბედურ შედეგებისაგან". „სირცხვილია, თუ ჩვენი მწარმოებელნი, რომელთაც რუსეთში უზარმაზარი კაპიტალები შეიძინეს, გაჭირების დროს არ დაეხმარონ რუსეთს". და ამნაირ აზრების მქადაგებელი ვაჟბატონები ბედავენ და „მუშების თვითმოქმედებაზე" ლაპარაკობენ!

ამნაირია სახელოვანი „უშაკოვშჩინა". იგი არაფრით განსხვავდება „ოხრანნოე ოტდელენიე"-ში დაბადებულ „ზუბატოვშჩინა"-საგან: როგორც ამ უკანასკნელის, ისე „უშაკოვშჩინა"-ს მთავარი მიზანია—მუშები სოც.-დემ. ჩამოაშოროს, მუშები მთავრობას შეარიგოს, პოლიტიკურ გზას ააცილოს, მუშების მოძრაობა ეკონომიურ კალაპოტში ჩააყენოს.

როგორც ზუბატოვის, ისე უშაკოვის ქადაგებას მხოლოდ შეუგნებელ მუშებში აქვს ნიადაგი, იმ მუშებში, რომელნიც ჯერ ვერ ხედავენ კავშირს ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლის შუა, რომლებსაც ჯერ ვერ შეუგნიათ, რომ ეკონომიური ბრძოლა მჭიდროთ არის გადაბმული პოლიტიკურ ბრძოლასთან, რომ „ეკონომიური ბრძოლა არის ბრძოლა პოლიტიკური". რაკი მუშები შეიგნებენ ამ ჭეშმარიტებას, რაკი ეკონომიური ბრძოლა მათ მიიყვანს პოლიტიკურ ბრძოლის კარამდის, მაშინ მათ ველარ დააკმაყოფილებს ვერავითარი „უშაკოვშჩინა", მაშინ მუშები მას ზურგს აქცევენ და დაუბრუნდებიან იმ მოძღვრებას, რომელიც მათ ხელმძღვანელობას გაუწევს როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ბრძოლაში. ასე დაემართა ზუბატოვის მოღვაწეობას, ასეთივე ბედი ელის უშაკოვის მოღვაწეობასაც.

ლეო.

### ტრიუმფი უგუნურებისა

—

სისხლით დამთვრალს დაემსგავსა რუსეთის მთავრობა. მას აღარ შერჩენია გონება, რომ მას დაუმორჩილოს თავისი მოქმედება; იგი მოქმედობს, როგორც ცოფიანი; მას მხოლოდ სისხლის წყურვილი ამოძრავებს; მის მოქმედებას არ ამჩნევია მოფიქრების ბეჭედი; იგი რეპრესიას რეპრესიაზე ისვრის და ვის მოხვდება გასროლილი რეპრესია, რა შედეგს მოიტანს იგი, ამას მთავრობა არ კითხულობს.

თითქმის ერთი თვეა, რაც შემოიღეს სამხედრო-საველე სასამართლოები. ამ სასამართლოებმა უკვე აუარებელი მსხვერპლი შეიწირა. ხალხს ისე ახრჩობენ, როგორც კატებს; არ ინდობენ არც ქალს, არც კაცს, არც დიდს, არც ბავშს; სათითაოთ ხოცვას რომ ვერ ასწრობენ, ხოცვენ პარტიობით; სვეაბორგში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ერთ დღეს 174 მატროსს... გუშინდელ დეპეშებში წაიკითხავდით, რომ კრონშტადტის აჯანყებისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტიათ 19 კაცისთვის. მაგრამ მოსპო ამ აუარებელმა სისხლის ღვრამ ანარხია? ან შეამცირა იგი? საკმარისია ყოველდღიურ დეპეშების თვალის გადავლება, რომ დარწმუნდეთ, რომ ამ უკანასკნელმა რეპრესიებმა უფრო გააძლიერეს ტერორი და ანარხია.

მთავრობის ცალკე წევრები, ხშირათ მოთავეებიც კი, კარგათ გრძნობენ, რომ ასე მოქმედება არ შეიძლება, რომ ეს უგუნურებაა, რომ ამით მთელ ხალხს გადაიმტერებ,—ბევრნი გრძნობენ ამას, მაგრამ ისინიც ემორჩილებიან რკინის კანონს უგუნურებისას, გულით უნდათ, მაგრამ თავი ვერ დაუხწევიათ ამ უგუნურებისათვის. როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, ამას წინათ მინისტრთა საბჭოს მსჯელობა ქონია იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოიტანა სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღებამ. თითქმის ყველამ ერთხმათ აღიარა, რომ ყველგან, სადაც კი სამხედრო-საველე სასამართლოები „მუშაობენ", ტერორისტული აქტები, ძარცვა-გლეჯა და თავდასხმა უფრო გახშირდა. როგორც გაზეთების მეორე ცნობიდან ჩანს, სტოლიპინს თურმე გადაუწყვეტია სამსახურიდან გასვლა, რადგან ყველა მისი იმედები—საველე სასამართლოების შემოღებით რევოლიუციას ჩავაქრობო,—გაცრუებულა. როგორც ვხედავთ, მინისტრები დარწმუნებულან, რომ უგუნურათ მოქმედებენ, მაგრამ ვერ შეჩერებულან და, რაღაც ბედისწერის ძალით, განაგრძობენ ამ შეგნებულ უგუნურებას. თითქოს ისტორიულ ბედისწერას თავის იარაღათ ამოერჩიოს იგი, მთავრობა იძულებულია იმოქმედოს თავის სურვილების და საღ გონების წინააღმდეგ.

ამას წინათ პირველმა მინისტრმა, სტოლიპინმა პ. დოლგორუკოვთან ლაპარაკის დროს თქვა, თუ კონსტ.-დემოკრატიული პარტია ლეგალურ პარტიათ არ ვაღიარეთ, ამით ამ პარტიას ხალხის თვალში ეკლის გვირგვინს დავადგამთ და მის ავტორიტეტს უფრო გავაძლიერებთო; ამით თვით პარტიასაც რევოლიუციისკენ ვკრავთ ხელსო; „სიგიჟე იქნებაო,—თქვა სტოლიპინმა,—რომ ამოდენა პარტია იატაკს ქვეშ ჩავაგდოთო". ამ ლაპარაკის შემდეგ არ გასულა ერთი კვირა, რომ მთავრობამ სწორეთ ეს „სიგიჟე" ჩაიდინა: კადეტების პარტია ლეგალურ პარტიათ არ დაამტკიცა. რა შედეგი მოჰყვა ამ „სიგიჟეს?" ის, რომ მუდამ წყნარი, მუდამ დიპლომატობის მომხრე, მუდამ რევოლიუციის მტერი კადეტები გრძნობენ, რომ ძალა-უნებურათ უნდა ჩადგენ შეუჩვეველ როლში—„რევოლიუციონერების" როლში. უკანასკნელ წერილში („რეჩ." № 162) მილიუკოვი პირდაპირ აღიარებს, რევოლიუცია და საზოგადოება განუყოფელიაო. „გაყოფა „რევოლიუციისა" „საზოგადოებისაგან", ეჭვი არ არის, შეუძლებელი საქმეა, რადგან „რევოლიუცია" თვით საზოგადოების ერთ-ერთი მდგომარეობათაგანია, საზოგადოების მოქმედების ერთ-ერთი საშუალებაა". ნუ კი გეგონებათ, კადეტები თავის სურვილით გარევოლიუციონერდენო, სრულიადაც არა: კადეტები დიდს უკმაყოფილებას უცხადებენ მთავრობას ამ შეუჩვეველ როლის დაკისრებისთვის, ამ უსიამოვნო მდგომარეობაში ჩაყენებისთვის: „მთავრობა შეგნებულათ ხელს კრავს საზოგადოებას რევოლიუციის გზისკენ",—ბუზღუნებენ კადეტები. მათ ძალიან გულით სურთ ყოველი კავშირი გაწყვიტონ რევოლიუციასთან, ისინი დიდის სიხარულით „გაამართლებენ რევოლიუციას", დიდის სიამოვნებით მიეგებებოდენ „ძლიერ მთავრობას"; პ. სტრუვე პირდაპირ აღიარებს, „სახელმწიფო აუცილებლობის რკინის კანონი მოითხოვს ძლიერ მთავრობასო". ამასთანა „კეთილ-გონებიან" მისწრაფებით არიან კადეტები გამსჭვალულნი, მთავრობას კი თავის უგუნურობის გამო ვერ დაუფასებია მათი კეთილი მისწრაფებანი; და კადეტებს რაღა დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ, თუმც გულის წყრომით, რევოლიუცია „საზოგადოების მოქმედების ერთ-ერთ საშუალებათ" აღიარონ, თუ კი ხედავენ, რომ „უფლება საზოგადოთ გათელილია, მის ადგილას გამეფებულია მრავალთავიანი თვითნებობა ადგილობრივ მმართველებისა" (სტრუვეს სიტყვებია).

მთავრობა კარგათ ხედავს, რომ სამხედრო-საველე სასამართლოები მას ვნებას უტანს, ნენ, მაგრამ ვერ შეჩერებულა და ამ სასამართლოებს „ამუშავებს". მთავრობას ესმის, რომ კადეტების დევნა რევოლიუციას აძლიერებს; გრძნობს, რომ მათი დევნა „სიგიჟეა", მაგრამ არ შეუძლია არ სდევნოს; მთავრობა გრძნობს, რომ ადვილათ მოურიგდებოდა კადეტებს, მაგრამ მათ ხელს კრავს და რევოლიუციისკენ აგდებს!

ისტორიულ ნემეზიდას თვალები აუხვევია მთავრობისთვის და მიყავს რევოლიუციის გაძლიერებისკენ; გრძნობს ამას მთავრობა, უნდა კიდეც თავიდან აიცილოს „ფიალა ესე", მაგრამ მას არ ძალუძს შეჩერება და გონიერების გზით სიარული: მან უნდა უგუნურების ტრიუმფით დაასრულოს თავისი არსებობა.

ლეო.

## ახალი ამბები

—

✦ თფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის მეორე განყოფილებაში გარეშეთა დაუსწრებლათ გუშინ გაირჩა **საქმე ასოთ-ამწყობ ალისტრო ვადაჭკორიასი**, რომელსაც საიდუმლო ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდენ. სასამართლოს თავმჯდომარეობდა სისხლის სამართლის მეორე განყოფილების თავმჯდომარე ბ. ბოგოროდსკი, მონაწილეობას იღებდენ პალატის წევრნი—მალინოვსკი, სტრუვე, იანინი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბაგრატიონ - დავითაშვილი, ქალაქის თავის მოადგილე ვ. ნ. ჩერქეზიშვილი და ბელიკლიუჩის მამასახლისი, იცავდა ნაფიცი ვექილი ა. კლანკი. საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ვადაჭკორიას ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს და იქვე დააპატიმრეს.—იმავ წევრთა თანადასწრებით გუშინ გაარჩიეს საქმე თფილისში მცხოვრებ გიორგი გელაშვილისა, რომელსაც არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებას აბრალებდენ. გელაშვილს ბრალსა სდებდა პროკურორის ამხანაგი ნიკულინი. იცავდა ნაფიცი ვექილი ჟანისიანი. სასამართლომ გელაშვილს 3 თვით დაპატიმრება მიუსაჯა. გელაშვილი პოლიციის მხედველობის ქვეშ გაანთავისუფლეს.

✦ ამას წინეთ, როგორც თფილისში იტყობინებიან, **ს. მუხათ-გვერდში** მემამულე აბვერდოვის სახლიდან 5 შეიარაღებულმა უცნობმა რამდენიმე თოფი გაიტაცა და მიიმალა.

✦ რადგან **ქალაქის კასაში** ამ ჟამათ

ფული არ არის, ამიტომ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის გუშინ ჯამაგირი არ დაურიგებიათ.

✦ ტფილისის **პოლიცმეისტრის სამმართველო** დღეიდან სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე, ყოფილ მერაბოვის სახლში გადადის.

✦ ტფილისის ყოფილი პოლიცმეისტერი **მარტინოვი** უკვე გამოეწერა მიხეილის საავათმყოფოდან და საზღვარ-გარეთ მიემგზავრება ექიმობის გასაგრძობათ.

✦ სიღნაღის მაზრიდან იტყობინებიან, რომ ბაკურციხეში მიმავალ მეფურგუნე ალექსი ასრათოვისთვის ვიღაც უცნობთ ფურგუნიდან **გაუტაცნიათ ყუთი სხვადასხვა ნივთებით.** ქოდალოს ნაწილის ბოქაულს ეს ამბავი რომ შეუტყვია, საერობო დარაჯებითურთ საჩქაროთ დასდევნებია მძარცველთ, რომელთაც იქავ მახლობლათ ერთ ქოხში შეეფარათ თავი. ბოქაულმა წინადადება მისცა მათ დანებებულიყვენ და იარაღი აეყარათ, რაზედაც ავაზაკებმა უარი განაცხადეს. ამის შემდეგ ბოქაულმა დრაგუნები დაიბარა და განკარგულება მოახდინა ქოხისთვის ცეცხლი წაეკიდებიათ, მაგრამ აქ ავაზაკები დანებდენ და იარაღი აიყარეს. ისინი აღმოჩნდენ ალა-კიში აბდულა-ოღლი, იმამ-ქული-ქალანთარ-ოღლი და ქურბან-აბდულ-ქიარიმ-ოღლი. ამათ სხვადასხვა იარაღები და ნაპარავი ნივთები აღმოაჩნდათ. ქოდალოს ბოქაულმა შუამდგომლობა აღძრა გენერალ-გუბერნატორის წინაშე ყველა ზემოხსენებული პირები სამხედრო-საველე სასამართლოში იქნენ მიცემულნი, რადგან მთავრობის წარმომადგენელთ იარაღით აშკარა წინააღმდეგობა გაუწიეს და ქურდობაშიაც თვითონ გამოტყდენ.

✦ **გორის მაზრიდან** იტყობინებიან, რომ ამას წინეთ რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დასხმია კნ. ამილახვარის მოურავს გიორგი ვალიშვილს, რომლის სტუმრისთვის კ. ბერაძისთვის წაურთმევიათ ფული, 200 მანეთის ვექსილი, რევოლვერი და 100 პატრონა. ერთ უცნობთაგანს გაუჩერებია ყელა და რევოლვერის სამი ტყვიით იქავე მოუკლავს გიორგი ვალიშვილი. თავდამსხმელებში ვალიშვილის ქვრივს უცვნია ორი: ვასილ ბედეშვილი და ელიზბარ ფილიშვილი. ამათ დასაჭერათ პოლიციის მიერ შესაფერი ზომებია მიღებული.

✦ **ქალაქის ამბები.** 18 სექტემბერს, დილის 8 საათზე „კავკაზის“ სასტუმროს პირველ №-ში ჟანდარმთა მე-6 ესკადრონის ვახმისტრის ქალიშვილმა ალათია კრავცოვმა საწამლავი დალია. კრავცოვას მამის სახელზე წერილი დაუტოვებია. იგი უგრძნობელ მდგომარეობაში მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.—ამავე დღეს, საღამოს 6 საათზე კადეტთა კორპუსის მახლობლათ ვიღაც უცნობმა ბებუთით დასჭრა ტფილისის მოქალაქე ვასილ ნიკიტინი. უცნობი მიიმალა.—ამავე დღეს საღამოს 9 საათზე ნიკოლაევის მოედანზე ქვაფენილზე ერთმა ახალგაზდამ რევოლვერის ტყვიით დაიჭრა თავისი თავი. მიხეილის საავათმყოფოში მან განაცხადა თავისი სახელი და გვარი—ფეოდორ კუპაკოვი.—ამავე დღეს საღამოს 8 საათზე ვეტცელის სასტუმროსთან რევოლვერის ტყვიით დასჭრეს მურად-მინასოვი. მიზეზი არ იციან. —18 სექტემბერს დილის მატარებლით ტფილისში ჩამოსულ მოლლა-ბაირამ-ველი-ოღლის სადგურის მახლობლათ რამდენიმე უცნობი დახვდა, რომელიც მივარდენ და ყვირილი დაუწყეს: ამას წინათ ფული მოგვპარე და მოგვეციო, წინააღმდეგ შემთხვევაში უცნობნი საკომენდანტო სამმართველოში წაყვანით დაემუქრენ მოლლა-ოღლის. ეს უკანასკნელიც დათანხმებოდა და ყველანი საკომენდანტო სამმართველოში წავიდენ. გზაში მოლლა-ოღლის უცნობთათვის თავისი საკუთარი ფული 1000 მანეთი უჩვენებია და უთქვამს—ამისი მეტი არა მაქვს რაო. უცნობთ იგი გაუტაცნიათ და მიმალულან.—18 სექტემბერს ღამით სიონის ქუჩაზე მ. ლევაშვილის ბინიდან ვიღაც უცნობთ 100 მანეთი ფული და 200 მანეთამდე ღირებული სხვადასხვა ნივთი გაუტაცნიათ. გატაცებულ ნივთების ერთი ნაწილი აღმოჩენილია ახალციხის მაზრის მცხოვრებ არუთინ აზნოუროვს, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

✦ დაიბეჭდა და გამოვიდა „ვირი და მუშა კაპიტალისტურ წეს-წყობილებაში“ ბრადიაგასი.

## პროვინციის ქრონიკა

**ხონის რაიონიდან** გვწერენ, რომ ქურდობა-ავაზაკებს იქაც ძალიან უმატია. მარტო ერთ სოფელ ახალბედისეულში ივნისიდან 15 ენკენისთვემდე 21 ხარი და 14 ძროხა მოუპარავთ. ქათმების, ბატების და ცხვრების დაკარგვას ხომ ანგარიში არა აქვს. საზოგადოთ იშვიათია ისეთი ღამე, რომ ქურდობა არ მოხდეს. ამ ბოლო ხანებში ხალხი სიამოვნებით იგონებს ერთობის დროს, როცა ქურდები ასე თავ-აშვებულათ ვეღარ თარეშობდენ. 40 სოფლიდან ათს გარდა ყველამ აღადგინა ძველი ორგანიზაციები ავაზაკთაგან თავდასახსნელათ. ზოგიერთ სოფლებში გლეხებმა და თავად-აზნაურებმა შეჰფიცეს ერთმანეთს არ დამალონ ავაზაკი, და მისცენ ხალხის მიერ არჩეულ პირებს. ხალხი სასტიკათ სჯის ასეთ გარყვნილ პირებს და იმედია ახლო მომავალში ბოლოს მოუღებს მათ თარეშს. გახშირდა აგრეთვე პარტიის სახელით ბოროტ-მოქმედება. ხალხი ადგილათ პოულობს ამ შანტაჟისტთა გზა-კვალს და ღირსეულ პასუხს აძლევს მათ.

**სოფ. ნოსირი.** (სამეგრელო) რეაქცია ისევ აღსდგა მთელი თავისი სიძლიერით. მას შემდეგ რაც საზიზღარი ბოქაული ჟუბანეიშვილი მოკლეს, რომლის ბინძურ ლეშშიაც 3000 მანეთი აიღო მაზრის უფროსმა, აბაშის საბოქაულოს მცხოვრებთ მშვიდობიანათ აღარ ამოუსუნთქავთ. 2 სექტემბერს ჩვენს სოფელსაც ეწვიენ წესიერების დამცველნი. სოფელი სწორეთ ჯოჯოხეთათ დაემსგავსა. სტუდა საზარელი წივილ-კივილი. მხიარულობდენ მხოლოდ ისინი, ვინც ხალხის თავისუფლების დროს შიშით კანკალებდენ. მიზეზი სტუმრობისა გადასახადების მოკრეფა იყო. მეომართ ქცევა ჩვეულებრივი იყო იმ განსხვავებით, რომ სალდათებმა ღამის კაზაკებიც დაგვაწყვეს. ხალხს პროვიზია მოსთხოვეს და მან დასაკლავი ძროხები მიუყვანა, მაგრამ ძროხის ხორცი თურმე მობეზრებოდათ და დორისა მოითხოვეს. ერთ სოფელში თითონ ხალხს დაანგრევიეს გლეხის სახლი, რადგან გაჩხრეკის დროს თოფი და წითელი დროშა ენახათ შიგ.

**ყვირილის რაიონი.** ძნელია იმ სიველურის და სიმხეცე-უწესობის აწერა, რომელსაც ჩვენი „წესიერების დამცველნი“ ახდენენ. ბოქაული მახარაძე ხომ არის და არის, მაგრამ ალარც სხვა ქვემძრომები აკლებენ ხელს. ისინი დაძრწიან სოფლიდან-სოფლათ, როგორც ბოროტი სულნი: იჭერენ და ხოცავენ უდანაშაულო პირებს, (მოლაღურაძის ოჯახი), აოხრებენ ჭორხნეულს და სხვა.., ამ ბოლო დროს ხულიგანობა და ხალხის მოღალატეობა ბევრისთვის დარჩა ხელსაყრელი. ის მემამულენი, რომლებსაც შარშან ჭორხნეულის მეოთხედი მისცეს, წელს ნახევარს თხოულობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში „იქზეკუციით“ იმუქრებიან. მღვდლები თუ შარშან დრამასა და სხვა წვრილმან ხარჯებზე უარს ამბობდენ, ახლა სიმჯერით პოლიციის კარებს ატალახებენ: გვიშველეთ დრამა აგვადებინეთ. სოფლის მასწავლებელნიც არ დარჩენ დაუჯილდოვებელნი. ზოგს ადმინისტრაცია სდევნის, ზოგს სოფლის მთავრობა. დათხოვილთა ადგილზე არავინ არ უნდა დამდგარიყო, მაგრამ აღმოჩნდენ ისეთები, რომელნიც სიხარულით მიდიან დასჭილ ამხანაგების ადგილზე.

**ოქონის ხეობიდან.** (ქართლი) იწერებიან რომ სოფ. ავლევში თვ. კოსტა ამირეჯიბის თხოვნით კაზაკები დაუბინავებიათ. მასქით თივა, ქერი, ყველი, ქათამი, ცხვარი, ძროხა და, თუ ინებეს მესამედი ფასის წამოღება, ისიც მადლობელი უნდა იყო. ამით გლეხების შური იძიეს ადგილობრივმა გახულიგანებულმა თავადებმა. მოგეხსენებათ შარშანდელი „შავი რაზმის“ ისტორია, თუ როგორ უსახელოთ დასრულდა მისი სიცოცხლის წამები. თავისი შელახული სახელი რომ აღადგინონ და მთავრობისაგან იარაღი მიიღონ, წარჩინებულ წოდებას ვინმე გავლენიანი მოკავშირე სჭიროდა და ასეთი პირი გამოდგა მამრიგებელ-შუამავალი კოსტა ამირეჯიბი. როგორც ამბობენ ის უკვე ყოფილა სადაც ჯერ-არს და იარაღსაც მალე მისცემენ ახალი „შავრაზმის“ შესადგენათ. ზოგიერთებმა უკვე დაიწყეს მოქმედება: ხვდებიან ტყეში მეურმეებს, ართმევენ ცულებს, ახდევინებენ ფულს და სხ. კომისიაც დაუბარებიათ ვალების ასაკრებათ, რამაც ძლიერ აალელვა გლეხები. ასეთ ვერაგულ საქციელისათვის გლეხებმა თავადებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ბოიკოტი აქვთ სოფ: კიოდეთის, ხელევის, ცერონისის, აბანოს და თამარაშენის თავადებს. სწყვეტენ მათთან ყოველგვარ კავშირს, ართმევენ მუშა-მოსამსახურეებს; ვინც ბოიკოტს დაარღვევს, იმას სასტიკათ სჯიან. ამ დღეებში „შავ-რაზმელები“ კაზაკების თანხლებით თავს დაესხენ ორ სოფელს და აწიოკეს. რაზმელებს პირი ახვეული ჰქონდათ და მათი საზიზღარი საქციელი კაზაკებსაც კი გაუკვირდათ.

## პროვინცია.

**ცხინვალი.** კვირას, 10 ამ თვეს, შესდგა წუნარის ხეობაში რაიონული კრება, სადაც გამოცხადდენ თითქმის ყველა სოფლების წარმომადგენელნი რიცხვით 300 მეტი კაცი. კრებას მსჯელობა ქონდა უმთავრესათ წითელ რაზმელების შესახებ.

რადგანაც ტატე და მის ამხანაგებზე ცუდი ხმები ისმოდა: თვითნებობის, ყაჩაღობის, სახლებზე დეცემის ფულის გასტაცებლათ და ბევრი რამ კიდევ სხვა, ამიტომ ამის გამოსაკვლევათ წინეთ ამორჩეულ კომისიას ყველა ხმები ადგილობრივ შეუმოწმებია და დარწმუნებულა, რომ ამ ძარცვა-გლეჯაში ტ. კორაშვილს და მის 10 ამხანაგს ბრალი არა უძევთ. უბრალია თითქმის ყველა მძარცველები, რომელნიც გამოტეხიან თავიანთ დანაშაულში და აღუთქვამთ გატაცებული ფულის (რომელიც 200 თუმანს შეადგენს) უკან დაბრუნება. ერთ მათგანს კიდეც დაუბრუნებია 50 მანეთი. როდესაც ეს გაბატონები დაეცემოდენ თურმე ვისმეს, ტატეს ან ალის სახელით მოსთხოვდენ ფულს და თუ უარს მიიღებდენ, გარეთ გასძახებდენ: „ტატე, ალი, შემოდით, არ იძლევიან“-ო.

ტატესა და მის ამხანაგებსაც აუღიათ ლიახვის ხეობაზე სასაღაბე 600 მან. და თავიანთ საჭიროებისათვის მოუხმარიათ. იგინი გულწრფელათ გამოტყდენ ამ დანაშაულში. (ტყუილი გამოდგა ხმები, თითქოს 2000 მან. აეღოთ).

ამხანაგმა ს. წინადადება მისცა მათ აეყარათ იარაღი და დაშლილიყვენ, რაზედაც მათ მორჩილება განაცხადეს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, დიდმა უმრავლესობამ შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

1. გამართლებულ იქნას ტატე და მისი 10 ამხანაგი ყოველივე ბრალდება და ჭორებისაგან, რომელიც აქამდე მათ შესახებ იყო გავრცელებული ხალხში. აგრეთვე გამართლებულ იქნას იგი იმ საზიზღარ ცილის-წამებისაგან, რომელიც იყო გამოთქმული გაზეთ „ჩვენი ცხოვრ.“ მე-2 №-ში ცხინვალიდან. 2. ტატეს რაზმი დარჩეს დროებით ქურდობა-ყაჩაღობის და შავრაზმელების ასალაგმავათ, ხოლო ექვემდებარებოდეს ყოველივე კითხვაში ცხინვალის ორგანიზაციას. 3. ადგილობრივმა ასისთავებმა შეაგროვონ გატაცებული ფულები ჯგუფის შემწეობით და ჩააბარონ არსებულ კომისიას დასარიგებლათ კუთვნილებისამებრ მოწმეების თანადასწრებით.

შემთხვევით დამსწრე.

## მუშათა მორის.

**გაფიცვები გორში.** მიუხედავათ იმ სასტიკ რეაქციისა, რომელიც ყველგან გამეფებულია დღეს, ხალხი თავისას არ იშლის. გაფიცვები და ბოიკოტი დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში მას საუკეთესო საშუალებათ მიაჩნია. ამ საშუალებას მიმართეს ქ. გორის ნოქრებმაც. წარსულ კვირას მათ ერთათ აიღეს მუშაობაზე ხელი და ხაზეინებს მოთხოვნები წარუდგინეს. ხაზეინები ჯერ ცივ უარზე იყვენ, მაგრამ რაკი გაფიცვა თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა, ვეღარა გაუწიეს რა. ძალაუნებურათ დააკმაყოფილეს ნოქრების სამართლიანი მოთხოვნები. გაჯიუტდა მხოლოდ ალ. ქიტიევი, რომელსაც ხალხმა სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადა. ნოქრებს ამ კვირია ხარაზის ქარგალ-შეგირდებმაც დაუჭირეს მხარი. ამათ წამოაყენეს ექვსი მოთხოვნა, რომელიც ბევრი ყოყმანის შემდეგ დააკმაყოფილეს. გაიფიცენ აგრეთვე მექვაბეები, საპონიგები, პაროკმახერები, მეწაღეები, მებადლეები და სხვ. ამ უკანასკნელებმა სამი თვით ბოიკოტი გამოუცხადეს გიგო ალიმბაროვს, რომელმაც დაარღვია ამხანაგების დადგენილება. გაფიცვები თითქმის მთელ გორს მოედო. რამდენიმე დღის განმავლობაში გაფიცულებმა ყველგან გაიმარჯვეს. პოლიცია საქმეში არ ჩარეულა.

—

თითქმის მესამე კვირაა, რაც მარტირუზოვის სადურგლო ქარხნის ნოქარ-შეგირდები გაფიცული არიან. გაიფიცენ აგრეთვე კაისნერის და რავოვის ქარხნებიც. მოთხოვნები ეკონომიურია. აღებიც გაჯიუტდენ ქარხნებს არ ამუშავებენ. 15 სექტემბერს შეკრიბენ ისინი ქალაქის სამმართველოს დარბაზში ქარხნიდან თითო ქარგლის თანდასწრებით, საქმის მოსარიგებლათ. ზოგიერთმა აღებმა კიცხვა დაუწყეს მადავეს და გალეშოსეს, რომლებიც უკვე მოურიგდენ მუშებს. დიდი ხნის კამათის შემდეგ ხაზეინებმა გაიხმეს ქარგლები ცალკე ოთახში და თითონ გამოიტანეს რეზოლუცია, რომელიც არაფრით არ ამჯობესებს გაფიცულთა საქმეს.

—

**ბათუმის საკანდიტეროები.** ჩვენი აღები დროთა ბრუნვით სარგებლობენ. საკმარისია რეაქციის ცოტათ თუ ბევრათ თავის აწევა, რომ იმათ უკანვე წაიღონ ბრძოლით მოპოვებული უფლებები. თუ პროტესტი გავბედეთ, გვიპასუხებენ: „გაგიფრინდათ ის დრო, თუ კნებავთ ასე იმუშავეთ, თუ არა და მიბრძანდითო“. ამნაირმა რეაქციონურმა მოქმედებამ გვაიძულა შეერთებული ძალით მათ თვითნებობისათვის ლაგამი აგვედვა. 12 ამ თვეს წარვუდგინეთ მოთხოვნები და ორი დღის ვადა მივეცით, მაგრამ აღებმა პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს და 15-დან გავიფიცეთ. დღე იცოდენ ბ. აღებმა, რომ ბრძოლით მოპოვებულ უფლებას უბრძოლველათ არავის დავუთმობთ.

—

**ბათუმის საკანდიტეროებში მომუშავეთა მოთხოვნები:** 1) მუშაობა წარმოებდეს 8—5 საათამდის. 2) მიემატოს ჯამაგირი ვისაც აქვს 15—20 მან. 20 პროც., ვისაც 20

# ფელეტონი

—:—

### ანდერძი

„ვპერიოდიდან“.

ამ ბნელ ციხეში მოსალოდნელი
შავი სიკვდილი ტუსაღთ გვავლებს,
რომ გიანდერძოთ—გადაუხადეთ
ხალხის ტანჯვისთვის, ძმებო, მტარვალებს!

თვით ბედს ებრძოლეთ, რომ მის სასწორი
მტარვალისაკენ გადაიხარა
და მასთან ერთად თავისუფლებას
ნორჩი მახვილი ახსნა, აჰყარა!

გამარჯვების დღეს, როს სიხარულის
სხივი ეფინოს თქვენს გაბასრულ გულს,
ჩვენ გიანდერძებთ სულგრძელი იყოთ,
ჩვენ გიანდერძებთ მხოლოდ სიყვარულს!

დე ნუ ექნება თქვენ შორის, ძმებო,
მაშინ ადგილი მათხოვრებს, მდიდრებს,
ერთის მხრით მარად ბედისგან დევნულთ,
მეორე მხრით კი გალაღებულებს!

ბიწიერების ტაძრის მაგივრათ
თქვენ ააშენეთ მეცნიერების,
ხოლო იქ, სადაც ციხეებია—
ძლევა-მოსილი თავისუფლების!

დე მშობელ მხარეს აღარ ესმოდეს
ტუსაღთა გმინვა, ჯაჭვის ჩხრიალი,
დატანჯულების ტირილი, კვნესა,
თოფ-ზარბაზნების ჭექა, გრიალი!

ადამიანის პიროვნებისა,
მარადის წმიდის, ხელშეუხებელს,
სულ პატივს სცემდით! სულ აფასებდეთ
შრომას და აზრსა წმიდას, უდრეკელს!

როს განახლების სხივი ამოვა,
აფერადდება მინდვრები, მთები,—
არ დაგავიწყდეთ იმ ბედნიერ დროს,
ჩვენც მოგვიხსენეთ ტანჯული ძმები!

ისამანი.

### კომუნისტური მანიფესტი, როგორც პლაგიატი*)

კ. კაუცკისა

(თარგმანი გერმანულიდან, „ნოიე ცაიტ.“ № 47).
(დასასრული. იხ. „გრიგალი“ № 7).

მარქსს და ენგელსს რომ ერწმუნებინათ ქვეყანა—კომუნისტურ მანიფესტით იწყება მეცხრამეტე საუკუნის სოციალიზმიო, მაშინ ისინი მართლაც პლაგიატორები იქნებოდენ. მაგრამ ვისაც იმ დროინდელ სოციალისტებს შორის კონსიდერანის გარდა არავინ წაუკითხავს, მხოლოდ მას შეეძლო გამოეცხადებია, მარქსმა და ენგელსმა სწორეთ ამ უკანასკნელის წიგნაკი გადაწერესო. და ეს იმიტომ, რომ კომუნისტურ მანიფესტს იმდენივე აქვს საერთო კონსიდერანის მანიფესტთან, რაც ყველა მაშინდელ სოციალისტურ ნაწერებთან.

რაში მდგომარეობს მაშ კომუნისტურ მანიფესტის თავისებურება, თუ ეგრეთ წოდებული „გაღატაკების და კონცენტრაციის თეორია“ იმ დროის სხვა სოციალისტებისაგან უკვე მიღებული იყო, თუ ყველა ისინი თავიანთ სოციალიზმს კაპიტალისტურ წარმოების ეკონომიურ ლტოლვილებებზე (ტენდენციებზე) აფუძნებდენ?

ეგ თავისებურება მდგომარეობს ჯერ ერთი იმაში, რომ ხსენებული თეორიები მანიფესტში უფრო ღრმათ არიან გატარებული, ვინემ რომელიმე იმ დროინდელ სოციალისტის ნაწერში; შემდეგ, და მასთან ყველაზე უწინ, იმაში, რომ მანიფესტი აღიარებს კლასობრივ ბრძოლის როლს, როგორც საზოგადოებრივ განვითარების მამოძრავებელ ძალას და ამ შემეცნებას შეუფარდებს იგი პროლეტარიატის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ამაზე სოციალისტთა უმრავლესობას არავითარი წარმოდგენა არ ქონდა და სწორეთ ის მიმართულება, რომელსაც კონსიდერანი ეკუთვნოდა, კლასობრივ ბრძოლას მეტათ არასასიამოვნო უგზო-კვლობათ თვლიდა. მართალია, კონსიდერანისთვის და მისი თანამედროვეთათვის კლასობრივი ბრძოლა, როგორც ფაქტი ცნობილი იყო, მაგრამ ისინი ვერ ხედავდენ, როგორ აუცილებლათ გამომდინარეობდა იგი ეკონომიურ განვითარებიდან და ახალ საზოგადოებას ნიადაგს უმზადებდა. მათ არ ქონდათ არავითარი ნდობა პროლეტარიატისადმი და შეუძლებლათ თვლიდენ, რომ ის ოდესმე თითონ გაინთავისუფლებდა თავს. ისინი მიმართავდენ გულშემატკივართ, რომელნიც საერთო ძალით უნდა ცდილიყვენ პროლეტარიატის განთავისუფლებას. თუ ისინი პროლეტარიატის გაღატაკების ზრდაზე უთითებდენ, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ ელემენტებში თანაგრძნობა გაეღვიძებინათ. სიღატაკის ზრდაში ყველაზე წინ მათ აინტერესებდა ქონება-მოკლებულ კლასების გათახსირების ზრდა. პირველათ მარქსმა და ენგელსმა დაინახეს გაღატაკების ზრდაში ბრძოლის ზრდა გაღატაკების წინააღმდეგ; მუშათა კლასის აღშფოთების ზრდაში ისინი ხედავდენ იმ საშუალებას, რომელმაც მუშათა კლასს უნდა უშველოს თავის-თავის განთავისუფლებაში. ამით გაღატაკების თეორიამ სულ სხვა სახე მიიღო. რამდენათ აუცილებელია კაპიტალის მისწრაფება, პროლეტარიატი ძირს დასწიოს, იმდენათ აუცილებელია პროლეტარიატის მისწრაფება მაღლა აიწიოს. ამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ლტოლვილებამ შესაძლებელია, სხვადასხვა ფორმები მიიღოს, სხვადასხვა შედეგები წარმოშობოს—აქ მთლათ ჩაძირვა წუმპეში, იქ ბრწყინვალე ამაღლება სხვა დაბალ კლასების წრეებს ზევით. მაგრამ ჩვენ ყოველგან ვხედავთ, საერთოთ რომ ავიღოთ, კლასობრივ წინააღმდეგობათა მუდმივ ზრდას, კლასობრივ ბრძოლის მუდმივ გამწვავებას, რაც უნდა დაბოლოვდეს პროლეტარიატის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით კაპიტალის წინააღმდეგ. ამ პროცესს მხოლოდ განკერძოებულათ და ერთდროულათ ეღობება წინ წინააღმდეგი ლტოლვილება.

ეს არის ახალი, მარქსისტული ფორმა საყოველთაო სოციალისტურ თეორიისა პროლეტარიატის გაღატაკების შესახებ. იგი უკვე გამოხატულია კომუნისტურ მანიფესტში, თუმცა იქ პროლეტარიატის სიღატაკის წინააღმდეგ აღშფოთების ზრდასთან ერთათ მისი ჩაყურყუმალება სიღატაკეში უფრო გადაჭარბებულათაა გახაზული, ვინემ მარქსის და ენგელსის მერმინდელ ნაწერებში. ეს გადაჭარბება შეეფერებოდა იმ დროინდელ საყოველთაო სოციალისტურ შეხედულებას და პროლეტარიატის საყოველთაო მდგომარეობას.

აქედან ცხადია, თუ რა ყოჩაღი ყოფილან მარქსიზმის ის თანამედროვე კრიტიკოსები, რომელნიც აბსოლიუტურ გაღატაკების თეორიაში ხედავენ ერთ დამახასიათებელ ნიშანთაგანს, რომელიც აცალკევებს მას (მარქსიზმს) დანარჩენ სოციალისტურ შკოლებისაგან.

როგორც კაპიტალისტური ლტოლვილება გაღატაკებისაკენ, ისე ლტოლვილებაც კაპიტალისა კონცენტრაციისკენ, წვრილ წარმოების გაქრობისკენ, მარქსის და ენგელსის ნაწარმოებში სხვა როლს თამაშობს, ვინემ კონსიდერანის და მეორმოცე წლების სხვა სოციალისტების უმრავლესობის ნაწერებში. უკანასკნელების თვალში ამ ორივე ლტოლვილების წამოყენებას არსებითად საგიტაციო მნიშვნელობა აქვს. მან უნდა იმოქმედოს მდიდრების გრძნობაზე. მან მდიდრებს უნდა დაანახოს, როგორ საშიშარია მათი მდგომარეობა დღევანდელ საზოგადოებაში: აქ მსხვილი კაპიტალი ემუქრება დაღუპვას, იქ სასოწარკვეთილ მშრომელ ხალხის აღშფოთება. როგორც პირველს, ისე მეორეს შეუძლიათ მათ თავი დააღწიონ მხოლოდ სოციალიზმის მხარეზე გადასვლით.

სულ სხვას ვხედავთ მარქსის და ენგელსის ნაწერებში. მათთვის პროლეტარული რევოლიუცია როდია ისეთი მოვლენა, რომელიც უნდა იძლეოდეს საბაბს შიშისათვის; ის არის მათი საუკეთესო იმედი. მქონებელ კლასებისაგან ისინი არაფერს არ გამოელიან, არც მათი შიშისაგან და არც მათი თანაგრძნობისაგან. მაგრამ კაპიტალის კონცენტრაცია მათთვის საყურადღებოა, რადგან მასში ისინი ხედავენ ისეთ ეკონომიურ ელემენტების წარმოშობას, რომელთაგან პროლეტარიატი ახალ საზოგადოებას შექმნის. ამ ელემენტების წმინდა გონებით შექმნა, ან მათი გამოგონება შეუძლებელია, ისინი უნდა იქნენ აღმოჩენილ-მონახული ფაქტებში.

ამგვარათ, კაპიტალის კონცენტრაცია და მასის „გაღატაკება“ მარქსის და ენგელსისათვის ისეთი მოვლენებია, რომლიდანაც მათ გამოყავთ სოციალურ განვითარების აუცილებელი მიზნები და საშუალებანი. თავიანთ დანიშნულებათ ისინი იმას სახავენ, რომ პროლეტარიატს შეაგნებინონ ის ამოცანები, რომლებსაც უყენებს მათ წინ ეკონომიური განვითარება. კომუნისტურ მანიფესტის დროის სოციალისტთა უმრავლესობა წინააღმდეგ ამისა იყო იმ აზრის, რომ სიღატაკის გამრავლება და წვრილ წარმოების უკან-უკან სვლა გაუღვიძებდათ მქონებელ კლასთ შიშს და თანაგრძნობას და მით სიმპატიას სოციალიზმისადმი, ისე რომ მათ შეეძლოთ წინასწარ თავიდან აეცილება პროლეტარულ აღშფოთებისა, რომელსაც მხოლოდ ნგრევა შეეძლო.

ეს არის დიდი და ძირითადი განსხვავე-

...ნეთზე მეტი აქვს—15 პროც. 3) ბინის ფული თვეში 4 მანეთი. 4) პურის ფულათ დღეში 10 კაპ., პური ხაზეინისა. 5) უფასო ექიმობა ერთი თვის სრული ჯამაგირით, 2 თვეს კი ადგილი შეენახოს. 6) მუშების მიღება თუ დათხოვნა მუშებისავე საქმე იყოს. 7) ჯამაგირი თვეში ორჯერ რიგდებოდეს. 8) შეგირდებს პურის ფული 25 კ. 9) შეგირდს წლამდი მიეცეს ჯამაგირი 5 მან. თვეში, ერთი წლის შემდეგ ხელობის მიხედვით. 10) აბანოს და თავის გასაკრეჭათ შეგირდს მიეცეს 60 კაპ. 11) საცვლები და ფართუკები კვირაში ორჯერ. 12) ხაზეინს არ ქონდეს უფლება შეგირდი ქარხანას გარეთ ამუშაოს. 13) გაფიცვის დროს მიეცეს სრული ჯამაგირი და ხარჯის ფული, გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი. 14) თუ რომელიმე ხაზეინმა „კაპრიზით“ ქარხანა დაკეტა, მიეცეს დათხოვნილ მუშებს 5 თვის ჯამაგირი სრული ხარჯისა და ბინის ფულით.

საკანდიტეროებში მომუშავეთა ბიურო.

**პავლენოვის სახელოსნოს მუშათა მოთხოვნები:** 1) სახელოსნოს პატრონმა იყოლიოს თავის ხარჯზე ექიმი,—სახელოსნოში; 2) ავათმყოფობის დროს მომუშავეს ჯამაგირი სრულათ ეძლეოდეს და ადგილიც შეენახოს; 3) სახელოსნოში გამოკიდულ იქნას სწორი საათი; 4) უსადილოთ მუშაობა; 5) ჯამაგირის დარიგება მუშაობის დროს; 6) ზრდილობიანი მოპყრობა ურთიერთ შორის; 7) შეგირდს მიეცეს მიღებისთანავე არა ნაკლებ 20 კაპ. დღიური ქირა; 8) ხაზეინს არა აქვს ნება მიიღოს 15 წლისაზე პატარა შეგირდი; 9) შეგირდის ტვირთი არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ გირვანქას; 10) მუშების მიღება ხაზეინის საქმეა დათხოვნა კი მუშების; 11) გაფიცვისათვის არავინ იქნას დათხოვნილი; 12) სახელოსნოს პატრონი ვალდებულია სახელოსნოს დახურვის დროს მისცეს მომუშავეებს სამი თვის ჯამაგირი; 13) ძველმა სახელოსნოს პატრონმა, თუ გადასცა თავის სახელოსნო ახალს, ვალდებულია იმ პირობით გადასცეს, რომ ჩვენი მოთხოვნები ძალაში დარჩეს; 14) წელიწადში ორჯერ „ოტპუსკი“ ორ-ორი კვირით,—ჯამაგირის და ადგილის შენახვით.

Копія.

## გურიის მასწავლებელთა კორპორაციის მოღვაწეობა.

როცა გურიის მასწავლებელთა კორპორაცია შედგა, შეიმუშავა წესდება, შეადგინა ბიუროები, სახელმძღვანელო წიგნების ამომრჩეველი კომისიები და ერთისიტყვით ყველაფერი გაჩარხა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენში სხვა და სხვა დადგენილების შემუშავებაში ყველა დახელოვნებულია, ხოლო რაც შეეხება დადგენილების განხორციელებას, ამაში კი ნურას უკაცრავათ. მასწავლებელთა კორპორაციაც სხვა და სხვა დადგენილების მიღების შემდეგ „არაფერს“ აკეთებს.

ამ კორპორაციის წესდების თანახმათ კორპორანტი-მასწავლებლნი უნდა შეკრებიდოუგენ ყველა, როგორც წლის ბოლოს, ისე წლის თავზე საქმის მოსაგვარებლათ. არჩეულმა ბიურომ მოიწვია ასეთი სამაზრო კრება 30—აგვ-ტოსათვის ს. ასკანაში, მშვიდობაულის კუთხეში. დანიშნულ დღეს კორპორაციის 120 წევრიდან დაესწრო სულ 30-მდე! აი როგორი ხალისით და ინტერესით ეკიდება კორპორაცია თავის მოვალეობას, ხალხის სწავლა-განათლების საქმეს. და ამის შემდეგაც ეს ვაჟბატონები კიდევ თამამათ მოსთხოვენ რევოლუციონურ ხალხს დახმარებას!

შეიძლება მათში ერიონ გულწრფელნი მებრძოლნიც, განსხლების გატაცებული მოტრფიალენი, მაგრამ დიდი უმრავლესობა-კი გინდ-ფუფიდა, გინდ არა. რომ ძალა შესწევდეს, ე. ი. მათ რომ რევოლუციონური ხალხი მხარს უჭერდეს, ამისათვის საჭიროა ისინი ამ ხალხში მოქმედებდნენ, ამ ხალხთან ერთად იბრძოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკეთესია სრულიად ჩამოშორდნენ ხალხს.

თ. ლისაშვილი.

## ანარქისტ-კომუნისტთა მოღვაწეობის საუცხოვო ნიმუში

დაბერა თუ არა რეაქციის ძლიერმა ქარმა, მზეზე გამოფენილი სხვა და სხვა ჯურის პარტიები ქვესკნელში ჩაძვრნენ. ყველა მიიმალა, ყველამ თითქო ხმა ჩაიკმინდა და ფარულათ შეუდგა თავის საქმეს, არა-ლეგალურმა მოქმედებამ ბევრ მათგანს სამოქმედო ასპარეზი გაუფართოვა და საშუალება მისცა თავისი ნამდვილი ფიზიონომია დაეფარა და ჩუმათ, ქურდულათ უთვლათ უშიშარს და საზიზღარი საქმეები ჩაედინა. ამ ჯგუფების ყურადღება ყველაზე მეტათ მიქცეულია ფულიან ჯიბისკენ. ეს არის მათი სოციალისტობა. ყველას თავისი საკუთარი შტემპელი აქვს, ამოიღებენ ვისმე სქელ ჯიბიანს მიზანში, გააშანშხალებენ წერილს, „პროლეტარიატის ინტერესების დასაცველათ ვიბრძვით, იარაღი გვინდა, მის შესაძენათ ფულები საჭირო და ორასი თუმანი ამა და ამ ადგილას ამოსდე ჯარკის ძირში, მაგალთ და წავიღებთო, თუ არ დაგიტოვებია ტერრორისტები უკვე აგირჩიეთ და სასიკვდილოთ მოემზადეო“. სოციალისტობა თუ გინდა ეს არის. საბრალო თქვენი მოიმედე პროლეტარიატი! ასეთ შინაარსის წერილებს ხომ საზღვარი აღარ აქვს; ამ ბოლო დროს აღარც მდიდრებს არჩევენ და არც ღარიბებს, გაქვს თუ არა ფული უნდა მოგვცეო. დღეს არავის არ უკვირს ასეთი მოვლენები, დღეს ვისაც კი ვინმესთან რამე კერძო საქმე აქვს, ყველა სარგებლობს სხვა და სხვა პარტიების და ჯგუფების სახელით: მამაზე გაჯავრებული შვილი მამას წერს ჯგუფის სახელით წერილს, ფული გამომიგზავნე ამა და ამ ადრესზე, თორემ შენზე „ტერრორია დანიშნულიო“ და ორ დღეში მოგკლავთო. დღეს ასეთი „შანტაჟისტობა“ ხელობათ გადაიქცა. ამიტომ არ გვიკვირს, რომ სხვა და სხვა ჯგუფები სოკოებივით გაჩნდენ ამ ბოლოს და თავიანთი სოციალისტობა ძარცვა-გლეჯაში და ფულების გამოტყუვაში გამოიჩინეს. ეს არ გვიკვირს, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ისეთი დიდებული პარტია, რომელმაც მარქს-ენგელს-კაუცკის „ტყავი გააძრო“, ჩვენებური სოც.-დემოკრატია სამარცხვინო ბოძზე გააკრა და თავი დიდებულ არხი-სოციალისტურ პარტიათ გამოაცხადა, ასეთ, მართლა რომ წვრილმან და საზიზღარ საქმეს ჩაიდენდა. ეს დიდებული პარტია გახლავთ „თფილისის ფედერაცია ანარქისტ-კომუნისტთა—თავისუფლება“. დიახ, ამ დიდებულ პარტიას ახალი სამოქმედო ასპარეზი აღმოუჩენია და იღწვის, იღწვის დასაგრუდ მოძმეებისთვის. მერე და ვინ გაამტყუნებს დიდებულ პარტიას, რომ ახალ გზას დადგომია? არავინ. ალბათ მოსწყენიათ გაზეთის ფურცლებზე ყბედი სიტყვებით ლანძღვა გინება, და რაკი გარემოებამ ხელს უწყობდათ, გადასწყვიტეს, ჯერ სანამ აშკარა მოქმედების დრო არ დამდგარა, მოდი ოჯახურ საქმეებს შევუდგეთო, და შეუდგნენ კიდეც. ბედნიერია დიმიტრი ხუნდაძე! დიდებულმა პარტიამ პირველათ მისთვის აღიმაღლა ხმა, პირველათ მისთვის იძრო მახვილი ქარქაშიდან, პირველათ მისთვის აღიღო კალამი და შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა მის მოწინააღმდეგეს. აი წერილი სიტყვა-სიტყვით:

„უფ. ტ. გაბაშვილს! თბილისის ანარქისტ-კომუნისტთა ჯგუფების ფედერაციამ, დაინახა რა თქვენ მოქმედებაში ხუნდაძის მიმართ ბურჟუაზიული ღორობა და პარაზიტიზმი, რომელსაც საზღვარი არა აქვს, გადასწყვიტა უკეთუ ერთი კვირის განმავლობაში ხუნდაძე არ დაგიკმაყოფილებია, საზიზღარი სიკვდილის მსხვერპლი შეიქნებით“.

წერილს ორი ბეჭედი აზის „თბილისის ფედერაცია ანარქისტ-კომუნისტთა—თავისუფლება“. ამ ბეჭედს გარდა თვით ზოგიერთმა წევრებმა ადიარეს თურმე, რომ ეს საგმირო საქმე მათ ჩაიდინეს. ვინც არ იცნობს ხუნდაძეს და გაბაშვილს, იფიქრებს, დიდებული სოციალისტური პარტია გმირულათ მოქცეულა, ალბათ ხუნდაძე დაუჩაგრავს გაბაშვილს და პარტიაც დაჩაგრულს გამოექომაგაო! მაგრამ საუბედუროთ საქმე ასე არ არის. საქმის ვითარების გასაგებათ საჭიროა ჯერ ვიცოდეთ ვინ არის დიმიტრი ხუნდაძე და მერე გავიგებთ თუ რა გვარი სოციალისტობა გამოუჩენია დიდებულ პარტიას. დიმიტრი ხუნდაძე კაპიტალისტი არაა, მარა ტყავის გაძრობა კი კაი იცის. ამის მაგალითი ბევრია. ჯერ ერთი მან თავის გაიძვერობით სულისკან-ხორცამდე ყველაფერი წაართვა და ტყავი გააძრო მის ამხანაგ ა. კალანდაძეს, როცა მათ მამა-დავითის გორაზე ზიარათ რესტორანი ქონდათ. ამ საგმირო საქმისთვის მას ბოიკოტი გამოუცხადეს (მოგზაური № 30 1905 წ.). ეს ალბათ ეცოდინება დიდებულ პარტიას, მარა დაავიწყდებოდა ამდენ დავიდარაბაში. ხუნდაძის კაიკაცობა ყველაზე მეტათ იგრძნეს: ვასილ ბალანჩივაძემ, ნეოფიტე ხუნდაძემ, გრიგოლ ღლონტმა და ანდრო ხუნდაძემ, როგორც ყოფილმა ამხანაგებმა. ყველა მათგანმა ტყავი დატოვა დიმიტრის კლანჭებში. აი ასეთ დაჩაგრულს, უოგლათ უწიკვლო ადამიანს დღემდე არავინ ყურადღება არ მიაქცია. და ბოლოს დიდებულმა პარტიამ აღიმაღლა თავისი ხმა. მერე არ იკითხავთ რა იყო მიზეზი ანარქისტთა რისხვისა? აი რა. თფილისში ცხოვრობს ვინმე ტ. გაბაშვილი, ამ გაბაშვილს თფილისში სახლები ქონია. ერთი სახლი (ოლგას ქუჩაზე) იჯარით აუღია ხუნდაძეს; მოიჯარადრის ოინები ჩქარა გამოიჩინა ხუნდაძემ. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყველა დგმურებს მიუმატა სახლის ქირა, არ დაკმაყოფილდა იმით, რომ გაბაშვილს 100 მანეთს აძლევდა და თვითონ 213 მანეთს იღებდა. დგმურები აუბუნტდნენ ხუნდაძეს, და გაბაშვილი ბოლოს იძულებული შეიქმნა მოეთხოვა ხუნდაძისათვის სახლის დაცლა. ხუნდაძემ სახლი დაცალა, მაგრამ გაბაშვილს ანგარიში წარუდგინა 1300 მანეთი დავხარჯე სახლის შეკეთებაზე და მომეციო. დახარჯა მართლა ხუნდაძემ თუ არა, ეს მხოლოდ მან იცის. აი რამ გამოიწვია რისხვა. ხუნდაძემ გაბაშვილის ტყავის გაძრობა მოინდომა და ქომაგათ დიდებული პარტია გამოუჩნდა. ის წერილს წერს და არც კი სცხვენია, ზედ თავის პარტიის ბეჭედს ასვამს, თუ, ასე უსამართლოთ, ხუნდაძის მიერ მოთხოვილი ფულები არ მიეცა, ერთ კვირაში მოგკლავთო. სოციალისტობა ამაზე შორს სად წავა? დიდებულ პარტიას სამაგალითო სამოქმედო ასპარეზი აღმოუჩენია. მაინც მოლდით ხართ და მოაწყვეთ ოჯახური საქმეები! ისეთ მოქმედებით დიდ სახელს მოიხვეჭთ და ხუნდაძეებისთანა წურბელები მუდამ გუნდრუკს გიკმევენ. გზა მშვიდობისა.

მართალაძე.

## რუსეთის ამბები

**ხმები ამნისტიის შესახებ.** ტყული ყოფილა ის ხმები, ვითომ 17 ოქტომბრის სახსოვრათ პოლიტიკურ დამნაშავეებს გაათავისუფლებენო. ამის შესახებ არც კი აღძრულა თურმე კითხვა. უმაღლეს ბიუროკრატიულ წრეებში მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ, რომ ტუსაღებს ცხოვრება შეუმსუბუქონ—მაგალითად სეირნობის და სხვა ასეთების ნება მისცენ. 17 ოქტომბრისთვის ყველა გუბერნატორებს ებრძანათ ზომები მიიღონ მანიფესტაციების და კრებების აკრძალვის შესახებ. პატრულსაც გააძლიერებენ თურმე ამ დღისათვის.

**მუშათა დეპუტატების საქმე.** გუშინ, 19 სექტემბერს, უნდა გაესამართლებიათ 52 კაცი მუშათა დეპუტატების საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის. 52 მაგიერ სასამართლოში გამოცხადდებოდა მხოლოდ 50 ერთი იმათგანი—გუკოვსკი დამალულა, ხოლო მეორე—ელექტრო-ტეხნიკურ შკოლის სტუდენტი ტერ-მკრტჩიანცი ამ სამი კვირის წინათ დაუსჯიათ (სიკვდილით) სვეაბორგის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის. დანარჩენებიდან 19 სატუსაღოში სხედან, სხვები თავდებში არიან განთავისუფლებული.

**რეაქციონერები სისხლს თხოულობენ.** ამ ცოტა ხნის წინათ სამხედრო-საველე სასამართლოს სამი კაცისთვის 12 წლის კატორღა გადაუწყვეტიათ შარშან შემოდგომაზე გრაფ ლამზდორფის მოკვლისათვის. ეს არ მოსწონებია ადგილობრივ რეაქციონურ გაზეთს და ამის შესახებ კიდეც გაუთქვამს თავისი აზრი. სამხედრო-საველე სასამართლოს 9 სექტემბერს ხელ-ახლა განუხილავს ეს საქმე და სამთავე დამნაშავისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია.

**თავად-აზნაურობის აშკარა ხულიგანობა.** 9 სექტემბერს კურსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება მოეხდარა. კრებაზე არც ერთი გაზეთის წარმომადგენელი არ დაუშვიათ. კრებას თავდაპირველათ სალამი უძღვნია ცნობილ სემიონოვის პოლკისთვის, რომელმაც მთავრობის მტრებს (ე. ი. მოსკოვის აჯანყებულებს) მუსრი გაავლო და საზოგადოთ ყველა ჭეშმარიტ რუსებს, ე. ი. ხულიგანებს. შემდეგ წინადადება შეუტანიათ გამორიცხონ სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრები—აზნაურები დოლგორუკოვი, შირკოვი, ფონრუცენი და იაკუშინი თავიანთ წრიდან. წინადადება ხმის დიდი უმეტესობით მიუღიათ. მომავალ დუმის არჩევნების შესახებ აზნაურებს ის აზრი გამოუთქვამთ, რომ საჭიროა მომავალ დუმაში სანდო და „გონიერი“ პირები იქნენ არჩეულნი, რომ მთავრობის სურვილების განხორციელებას ხელი შეუწყონო. ამ მიზნის მისაღწევათ კურსკის თავად-აზნაურობა საჭიროთ სცნობს შეიცვალოს არსებული საარჩევნო წესი, რომ არჩევნები წოდებრივ იადაგზე დამყარდეს, ე. ი. გლეხებმა ცალკე უნდა აირჩიონ, აზნაურებმა ცალკე და სხვ. ამასთან რაინდები საჭიროთ სცნობენ, რომ მთავრობამ თავად-აზნაურობის დაუკითხავათ არც ერთი ახალი კანონი არ უნდა შემოიღოს.

**ხულიგანების მუქარა.**

კავშირი „რევოლიუციასთან აქტიურ ბრძოლისა“ და „სახალხო სამსჯავროს კამორრა“ ურიცხვ ფურცლებს ავრცელებენ, სადაც განმათავისუფლებელ მოძრაობის მოღვაწეთ მოკვლას ემუქრებიან.

**გადასახადების ბოიკოტი.** კურსკის გუბერნიის ადმინისტრაცია უკიდურეს ზომებს იღებს ხარკის მოსაკრეფათ, მაგრამ მაინც ვერ აღწევს მიზანს. გლეხები ეუბნებიან: „შეკრიბეთ სათათბირო და ერთ კაპეიკსაც არ დაგაკლებთო“. ლგოვის მაზრაში გლეხებსა და პოლიციას შორის რამდენჯერმე შეტაკებაც კი მომხდარა გადასახადების ძალით მოკრეფის გამო.

**მასწავლებლების კავშირი.** მასწავლებლების კავშირში ამჟამათ 12 ათასამდე კაცი შედის თურმე სოციალდემოკრატ მასწავლებლებს გარდა, რომელთაც გადაუწყვეტიათ კავშირში შესვლა ცალკე ჯგუფათ. კავშირი საოლქო კავშირებათ დაუ-

---

ბა, რომელიც სუფევს კომუნისტურ მანიფესტის შეხედულებათა და იმ დროინდელ სხვა სოციალისტურ თეორიებ შორის. ჩვენ არას ვამბობთ იმ პროლეტარულ თანასწორობის კომუნიზმზე, რომელიც კიდევ სხვა სახით განსხვავდებოდა კომუნისტურ მანიფესტისაგან, რადგან ის აქ მოსატანი არაა.

მარქსს და ენგელსს მართლა რომ პლაგიატი ჩაედინათ, მაშინ კონსიდერანის „ძირითადი იდეები“ კომუნისტურ მანიფესტში უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ნამდვილათ კი უკანასკნელი შეიცავს ისეთ თვალსაზრისებს, რომელნიც მას განასხვავებენ მეორმოცე წლების სოციალიზმისაგან. აი რას აცხადებს კონსიდერანი მე-10-ე პარაგრაფში „სოციალურ რევოლიუციაზე“, მას შემდეგ, რაც მან გადატაკების თეორიაზე და კაპიტალის კონცენტრაციაზე ისაუბრა:

„თავს ნუ ვატყუებთ: ამგვარი მდგომარეობა ხიფათით სავსეა, თუ იგი გაგრძელდა და განვითარდა. საფრანგეთის ერი ვერ მოითმენს ისეთ შევიწროებას, რომელსაც იტანენ ირლანდიის და ინგლისის სოფელქალაქების მუშათა მცხოვრებნი... სანამ მუშათა კლასი ინგლისში და ირლანდიაში წინააღმდეგობის და სიძულვილის იმ წერტილამდე მიაღწევდეს (როგორც ჩარტისტები), ჩვენში ათი რევოლიუცია მოხდება.

„რაღა დარჩება ცივილიზაციისაგან, მთავრობებისაგან მაღალ კლასებისაგან, თუ ინდუსტრიული ფეოდალობა მთელს ევროპაზე გავრცელდა და თუ სოციალურ ბრძოლის დიადმა ლოზუნგმა: „შრომით სიცოცხლე ან ბრძოლით სიკვდილი“! ერთ დღეს თანამედროვე მონების უთვალავი ლეგიონები აღელვებაში მოიყვანა?

„დიახ, თუ მთავრობათ საბრძნე, ინტელიგენტური და ლიბერალური ბურჟუაზია და მეცნიერება ბოლოს მაინც გონზე არ მოვლენ, მაშინ უეჭველია, მოძრაობა, რომელიც ევროპის საზოგადოებათ შეარყევს, პირდაპირ სოციალურ რევოლიუციით გათავდება და ჩვენ მიგვექანებით ევროპის მოქალაქობრივ ბრძოლისკენ (ჟაკერიისკენ, ველურ აღელვებისკენ).

„ვინ არიან მაშ ნამდვილი კონსერვატორები, ინტელიგენტური და შორსმჭვრეტელი კონსერვატორები? ისინი, ვინც თხოულობენ, რომ პოლიტიკურმა და სოციალურმა მბრძანებლებმა საქმის ვითარება შეისწავლონ ნაკლულევანებათა მოსასპობათ, აქამდის უყურადღებოთ დატოვებულ უფლებათა და ინტერესთა დასაკმაყოფილებლათ და მით შესაძლებელი გახადონ საზოგადოების მშვიდობიანი და უშიშარი განვითარება? თუ ისინი, ვინც მაძღარი და კმაყოფილი თავიანთ ბედისწერით გაურბიან საზოგადოებრივ აგებულების საშინელ სილატაკის გამორკვევას და ფიქრობენ, რომ ამისთვის თავის შეწუხება მეტია? განა ეს უკანასკნელნი იმ პირთ არ ემსგავსებიან, ვინც ყველაფრის გამანადგურებელ აზვირთებულ ნიაღვარს შემოაგდებენ ხოლმე“?

შემდეგ თავში ასეა ნათქვამი:

„ჩვენსკენ, ინტელიგენტნო და შორსმჭვრეტელნო კონსერვატორნო! ჩვენსკენ, განათლებულნო ადამიანნო, მაღალ და საშუალო კლასებისავ, სულგრძელნო ადამიანნო ყველა კლასებისავ! ჩვენი საზოგადოება, რომელიც უკვე წამებულია ორმოცდა ათი წლის რევოლიუციებით და რომელიც ფეოდალობისაკენ მიექანება, იმყოფება კრიზისის ხანაში, რომელიც სერიოზულ შესწავლას და მსწრაფლ-გამკურნებელ საშუალებას თხოულობს, თუ გვინდა ნიაღვარი თავიდან ავიცილოთ“!

აი საკვირველი სახე კლასობრივ ბრძოლის დასაბუთებისა, კომუნისტურ მანიფესტის ამ „ძირითად იდეისა“!

მახლობელ თავში კონსიდერანი იკვლევს სოციალურ პრობლემის ორ ლოზუნგს: ერთი არის კომუნიზმი, ის იდეა, „რომელიც ეს რამდენიმე წელია გავრცელებულია დიდ საინდუსტრიო ცენტრებში საფრანგეთისა, ინგლისისა, რამდენათმე ბელგიისა, შვეიცარიისა და გერმანიისა. იგი აცდუნებს და აფიცხებს მასას“...

„ეს ლოზუნგი, თავის არსებით უარყოფითი და რევოლიუციონური, არის მხოლოდ რეაქცია—ვიწრო და ძალმომრეობითი, როგორც ყოველი დიდი რეაქცია—წინააღმდეგ სოციალურ შევიწროების და კაპიტალის მტარვალურ ბატონობისა, კომუნიზმი არასოდეს არ გაჩნდებოდა ისეთ პირობებში, სადაც ფული და საკუთრება სტკბებიან კანონიერი უფლებებით და არავითარი განკერძოებული უაღრესობა არ აქვთ“.

მახლობელ პარაგრაფში კონსიდერანი ერთი მეორეს, ადარებს თავის დროის და 1789 წლის მდგომარეობას და ამბობს:

„ამ ორ ეპოქაში ჩვენ სრულებით ერთნაირ მოვლენას ვხედავთ: იგივე ზიზღი აუცილებელ კითხვებისადმი, იგივე უვიცობა ხალხის მოძრაობის და მის მნიშვნელობის შესახებ, იგივე დაბრმავებაა. მაგრამ, საბედნიეროთ, დღეს ბურჟუაზია მრავალრიცხოვანია და მასში იღვიძებს სულიერი მხარე. მასში აშკარავდება გაგება მშრომელ კლასების ნივთიერ და მორალურ სილატაკისა. იგი გრძნობს საჭიროებას მოსპოს ეს სილატაკე; სოციალური ქველ-მოქმედება იპყრობს მის არსებას; ბურჟუაზიული კლასები იწყებენ იმის შეგნებას, რომ თითონ ისინი პროლეტარებზე არა ნაკლებ არიან დაინტერესებულნი, რომ ინდუსტრიალურ წყობილებაში იქნას გაკეთებული საგუბარი ფინანსიურ არისტოკრატიის ნიაღვარის წინააღმდეგ“.

მაგრამ ამის მოგვარება არ შეუძლია კომუნიზმს, „წმინდა უარყოფით, რევოლიუციონურ, ანტისოციალურ და ილიუზიით გამსჭვალულ საშვალებას, რომლის დოქტრინებს ჩვენ სულ მუდამ შევებრძოლებით“. ერთად ერთი სწორი ლოზუნგი არის ფურიერისტულ ამხანაგობათა დაარსება, სადაც კაპიტალი, შრომა და ტალანტი ჰარმონიულათ ერთად იმოქმედებენ.

„კაპიტალი, შრომა და ტალანტი არის სამი ელემენტი წარმოებისა, სამი წყარო სიმდიდრისა, სამი ბორბალი ინდუსტრიულ მეხანიზმისა, სამი დიადი თავდაპირველი საშვალებანი საზოგადოებრივ განვითარებისა. სამივე კლასს, რომელთა წარმომადგენელი ისინი არიან, აქვთ საერთო ინტერესები და დღევანდელი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მანქანები ვამუშაოთ კაპიტალისტების და ხალხის სასარგებლოთ, და არა კაპიტალისტების სასარგებლოთ და ხალხის წინააღმდეგ. დროა აღიარებულ იქნას დასასრულ ორგანიზაცია კლასების გაერთიანებისა ერში, როგორც ერთეულში, ერების გაერთიანებისა კაცობრიობაში, აგრეთვე როგორც ერთეულში“!

იგივე აზრების მსვლელობა არის გაგრძელებული მანიფესტის მეორე ნაწილში, რომელიც საფრანგეთის სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ პარტიების კრიტიკას შეიცავს. იქ პოლიტიკური ბრძოლა, რევოლიუცია, კომუნიზმი უარყოფილ არიან, როგორც დამღუპველი რამ; სამაგიეროთ მშვიდობიან ამხანაგობათა დაფუძნება დასახელებულია კაცობრიობის განმათავისუფლებელ საშვალებათ, აგრეთვე შრომის და კაპიტალის შერიგება შესაძლებლათ არის აღიარებული.

მართლაც, ვინც ორივე მანიფესტს ერთი მეორეს შეადარებს და ერთი წვეთი ცოდნა აქვს მაშინდელ სოციალისტურ ლიტერატურისა, მაშინვე მივა იმ დასკვნამდე, რომ მათ საერთო მხოლოდ ზეზეური აზრთა მსვლელობა აქვთ, რომელიც ყოველ სოციალიზმის საერთო თვისებას შეადგენს, მაგრამ რაც შეეხება იმ მუხლებს, რომელნიც მაშინდელ სოციალისტებ შორის საკამათო საგანს შეადგენდენ და რომელნიც ერთ მიმართულებას მეორისაგან განასხვავებდენ, ისინი (მანიფესტები) ერთი მეორის მოპირდაპირე წინააღმდეგობას წარმოადგენენ. „დემოკრატიული მანიფესტის“ მრავალი ადგილები წააგავენ პირდაპირ პოლემიკას „კომუნისტურ მანიფესტის“ წინააღმდეგ, თუმცა, რა საკვირველია, ეს შეუძლებელია, რადგან ისინი არიან დაწერილი უკანასკნელზე ადრე. და თუ მაინც არ დაგვიშლია ამ ორ ნაწერთა შორის რამე დამოკიდებულების აღმოჩენა, მაშინ დიდი-დიდი ითქმებოდა მხოლოდ ის, რომ კომუნისტური მაფესტი წარმოადგენს დემოკრატიულ მანიფესტის საწინააღმდეგოთ დაწერილს. მართლაც კომუნისტური მანიფესტი წარმოადგენს წინააღმდეგობას არამც თუ დემოკრატიულ მანიფესტთან შედარებით, არამედ მთელ წინანდელ სოციალურ ლიტერატურასთან შედარებით, რომელსაც იგი არჩევს, რომ შემდეგ მაზე გადაიაროს და სოციალიზმს ახალი საფუძველი ჩაუყაროს; მისი უძლიერესი საფუძველი, რომელმაც მას ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა, არის პროლეტარული კლასობრივი ბრძოლა.

ძლიერ ზეზეურათ და გულგრილათ უნდა ესმოდეს კაცს კომუნისტურ მანიფესტის აზრთა მსვლელობა და არავითარი წარმოდგენა არ უნდა ქონდეს მას მის დროის სოციალისტურ ლიტერატურაზე, რომ დაასკვნას იგი კონსიდერანის „დემოკრატიულ მანიფესტიდან“ არის გადაწერილიო.

ა. ჩხენკელი.

ყვიათ. ამათგან უკვე შესდგომიან მოქმედებას ჩრდილოეთის და მოსკოვის კავშირები. საერთო სიეზდის მაგიერ გადაუწყვეტიათ საოლქო სიეზდების მოწვევა.

**როგორ ესმის მთავრობას კანონიერება** სისხლის სამართლის 1036 მუხლის ძალით დაისჯება ყველა ის, ვინც მცხოვრებლების ერთ ნაწილს მეორეს მიუსევს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეს ლავროვს 25 ათასი ცალი „სხვადასხვა მოწოდებები გაუვრცელებია მუშებში და გლეხებში. ფურცლები ცენზორისაგან ყოფილა ხელმოწერილი და გრადონაჩალნიკის სტამბაში დაუბეჭდიათ. მოწოდებები ყოფილა ამ სათაურით: „მიმართვა რუსეთის ხალხისადმი“. „რუსეთში მომხდარ უბედურების მიზეზები და ზომები ურიების მოსაგერებლათ“. რაც რომ უბედურება მომხდარა რუსეთში ყველაფერში ებრაელებს სდებენ ბრალს; ურიებს თურმე კავშირი შეუკრავთ გერმანიასთან და ინგლისთან, რომ რუსეთი ხელში ჩაიგდონ, წაართვან გლეხებს მიწა, ეკლესიები და მონასტრები ბოსლებათ აქციონ და სხვა. ფურცელი შემდეგი სიტყვებით თავდება: სადაც კი შეგხვდეთ ეს ქრისტეს მოღალატენი, მოკალით, რომ ამით თქვენ შორის ცხოვრების ხალისი დაუკარგოთ“. სასამართლოს დამნაშავეთ უცვნია ლავროვი და... 100 მანეთით დაჯარიმება გადაუწყვეტია.

# უცხოეთი

**გერმანიის ს.-დემოკრატიის სიეზდი**. ამჟამათ ქალაქ მანჰეიმში გაიხსნა გერმანიის ს.-დემოკრატიის სიეზდი. მეტათ საინტერესოა ის კითხვები რომლებიც სიეზდზე უნდა გაირჩეს: ზოგი ამ კითხვებთაგანი სპეციალურათ გერმანიის ს.-დემოკრატიას შეეხებოდა, ზოგიც მთელი კაცობრიობისთვის დიდმნიშვნელოვანია.

ყველა კითხვებში უპირველესი ადგილი უჭირავს პირველ მაისის დღესასწაულობას. ამ კითხვის შესახებ დიდი უთანხმოებაა ს.-დემოკრატებში. პროფესიონალურ მუშათა კავშირების ხელმძღვანელების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ პირველ მაისს მუშაობა არ შეწყდეს და დღესასწაული მხოლოდ საღამოს, მუშაობის გათავების შემდეგ გამართონ, და ეს კი უფრო გრანდიოზული იქნება, რადგან მაშინ მთელ შეგნებულ პროლეტარიატს შეუძლია მონაწილეობის მიღება და მსხვერპლიც ცოტა იქნებაო. მაგრამ პარტიის წევრთა უმრავლესობა ამ აზრის წინააღმდეგია და მოითხოვს პირველ მაისს არ იმუშაონ.

მეორე კიდევ უფრო თავსატეხი კითხვა მასიური პოლიტიკური გაფიცვაა. რამდენათ ხელსაყრელი და შესაძლებელია ასეთი გაფიცვები, აი საკითხი, რომელიც პირველათ არ ირჩევა გერმანიის ს.-დემოკრატიის სიეზდზე და მუდამ გადაუწყვეტელი რჩება. როგორც პარტია, ისე მუშათა პროფესიონალური კავშირები იმ აზრისაა რომ ამ საშუალებას მხოლოდ მაშინ მიმართონ, თუკი საყოველთაო არჩევნებს, ან კავშირების უფლებას რამე საფრთხე მოელის მთავრობისაგან. მაგრამ ზოგიერთ ს.-დემოკრატების მიერ წამოყენებული წინადადება, ისარგებლონ პოლიტიკური გაფიცვით, რომ პრუსიის ლანდტაგის ანტიდემოკრატიული საარჩევნო სისტემა შეაცვლევინონ, უმრავლესობას ოცნებათ მიაჩნია.

ამ ორ კითხვასთან მჭიდრო კავშირი აქვს მესამე კითხვას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ს.-დემოკრატიისთვის. ეს კითხვაა: ს.-დემოკრატიულ პარტიის და მუშათა პროფესიონალურ კავშირების ურთიერთ შორის დამოკიდებულება: პარტიის და პროფესიონალურ კავშირების წინამძღოლებს შორის არ არის ერთსულობა, ხშირათ უთანხმოება და ერთმანეთის გაუგებრობა არის მათ შორის. ამ მოვლენის მიზეზების გამოკვლევა და მისი თავიდან აცილება—აი რა უნდა გააკეთოს მანჰეიმის სიეზდმა. ამ მიზნით ფიქრობენ შექმნან მჭიდრო კავშირი პარტიასა და კავშირებს შუა. და ეს კი შესაძლებელია ს.-დემოკრატიულ პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში იმ პირების მიღებით, რომლებსაც კავშირებში გავლენა აქვთ.

მესამე და მნიშვნელოვანი კითხვა სწავლა-აღზრდის კითხვაა. მანჰეიმის სიეზდზე განიხილავენ ხალხის და მოსწავლე-ახალგაზდობის სოციალისტურ მეცნიერების ქვეშ აღზრდა განვითარების საკითხს. ამისთვის საჭიროთ ცნობენ კურსების გამართვას, ლექციების კითხვას და ლიტერატურის გავრცელებას.

განიხილავენ აგრეთვე სასამართლოების შესახებ საკითხს, რომელსაც ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც სხვებს.

ამავე ქალაქში დანიშნულია კიდევ ორი სხვა სიეზდი ქალ-სოციალდემოკრატთა კონფერენცია და გერმანიის ახალგაზდა მუშათა საზოგადოებები. ქალთა კონფერენცია პარტიის სიეზდის წინათ გაიხსნა. ამ კონფერენციამ აშკარათ დაამტკიცა, როგორ ფეხი მოიდგა ამ ბოლო დროს ქალთა მოძრაობამ გერმანიაში. დღეს ქალებში პარტიის წევრებათ ხუთი-ათასი ითვლება. კონფერენცია გაიხსნა გერმანიის და უცხოეთის (ავსტრიის, რუსეთის, ჰოლანდიის და იტალიის) დელეგატ ქალების თანდასწრებით. სიეზდზე უნდა განიხილონ: 1) ცენტრალურ ბიუროს მოხსენება; 2) ქალთა საარჩევნო უფლებას საკითხი; 3) სოფლის მუშა ქალთა შორის აგიტაციის გაწევა; 4) მოსამსახურე ქალთა შორის მოძრაობა; 5) ორსულ ქალთა დახმარება და სხვა.

არა ნაკლებ საინტერესოა „ახალგაზდა გვარდიის კრება“. მათი კავშირი დღეს 3000 წევრისგან შესდგება. კრებაზე განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს; სხვათა შორის „ახალგაზდების კაპიტალისტური გაუვლეფა,“ „ახალგაზდობა და ალკოგოლი“, „მილიტარიზმი“ და სხვ.

### აფრასიონ მირკვილაძის პასუხის გამო.

როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, სამედიატორო სამართალს გაურბიხართ. მიზეზათ ასახელებთ ცხოვრების პირობებს, მაგრამ მეც ხომ არ მიწყობს ხელს ცხოვრების პირობები?

პრესის საშუალებით გისურვებიათ სიმართლის აღდგენა, „ქვეყანა იყოს მსაჯულათო“. ძალიან კარგი. მაგრამ, ნუ თუ გგონიათ, დღევანდელ რეჟიმში პრესა იმდენათ თავისუფალია, რომ მოსახერხებელი იქნება გაზეთების ფურცლებზე გამოაქვეყნოთ ის, რაზედაც ჩვენ უთანხმოება გვაქვს? ეს მაშინ იქნება საპირო, რომ ან მე, ან სხვა ამხანაგთაგანი ისეთ ბრალს გდებდეთ, რომელიც არავის არ ეპატიება. თქვენ არავინ არ გწამებს, ვითომც ხალხის ორგული იყოთ, მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის თავს არ სდებდეთ, ვითომც ან ყაჩაღებს მფარველობდეთ და სხვ. თქვენ გამტყუნებთ იმაში, რომ რეაქციის შემდეგ თქვენი ტაქტიკა არ ეთანხმებოდა პარტიის ტაქტიკას, რისთვისაც მეც უთანხმოება მომდიოდა თქვენთან. რეაქციის დროს სხვანაირი მუშაობა იყო და არის საპირო. ეგეთი ტაქტიკა დღესაც თუ ის მიგაჩნიათ შეცდომათ, ვიმეორებ, დეე გავსამართლდეთ და ეს გასამართლება ჩემის ფიქრით სჯობია ამხანაგურათ მოხდეს. მაინცა და-მაინც თუ გსურთ პრესას მიმართოთ, თქვენი ნებაა. მე არ შემიძლია თქვენს შეცთომებზე გაზეთებში ვწერო და ამით ათას არა, ამხანაგს საშუალება მივცე კალამი აიღოს ამხანაგისთვის ტალახის სასროლათ და ჩირქის მოსაცხებათ (იხილე „გრიგალი“ ფოსტა, პასუხი მხეიძეს, № 4). თქვენ კი თუ გსურთ სწერეთ და ნახავთ, რამდენი გამოგიჩნდებათ, პასუხის გამცემი.

ვარდენ.

### წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გაზეთ „გრიგალის“ № 4-ში გამოცხადებული იყო, ვითომც მე მებუფეტე ნიკო ჩიგოგიძე უდიერათ ვეპყრობოდე მგზავრებს და 16 აგვისტოს ვითომც ბუფეტიდან გამომეყაროს სამი ქალი და ორი ბავშვი. სიმართლის აღსადგენათ გთხოვთ გამოაცხადოთ: მე არამც თუ 16 აგვისტოს, არამედ არასოდეს არავინ არ გამომიგდია ბუფეტიდან გარეთ და არც არავის არ მოვპყრობივარ უდიერათ და ვთხოვ ბ-ნ კორესპონდენტს ცილის წამებისთვის მოიხადოს ბოდიში გაზეთის შემწეობით და თუმც ამას არ ინებებს, მაშინ მოვითხოვ, რომ გამომყვეს სამედიატორო სამართალში. პასუხს ველი რვა დღის განმავლობაში.

ნატანების სადგ. მესამე კლასის ბუფეტის პატრონი ნიკო ჩიგოგიძე

—

ამა გასულ 10 აგვისტოს თარიღით, რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის სამეგრელოს ჯგუფი თავის ფურცელში (ბიულეტენი № 2) სხვათა შორის აცხადებს, ვითომც მე ვეწეოდე საზიზღარ და სამარცხვინო ხელობას, ჯაშუშობას. ეს მტკნარი სიცრუეა. დღეიდან ამა მოძრაობისა და არც წინეთ მე არავითარი საბუთი და საფუძველი არ მიმიცია ჩემი ყოფაქცევით არავისთვის, რომ ამ დაუმსახურებელი სახელით მოვენათლე. მე არას დროს მტრულის თვალით არ უყურებდი ამ უკანასკნელ ხანებში დაწყებულ მოძრაობას და მისთვის არავითარი დაბრკოლება, არც სიტყვით, არც საქმით, არსად და არავისთან არ გამიწევია; ხოლო ასეთი სასტიკი სასჯელი, როგორიც არის ჯაშუშობის სახელი, არ ვიცი რათ ინება ხსენებულმა ჯგუფმა. უთუოდ ამისი საბუთიც ექნებათ და მათ გამოაშკარავებას და დამტკიცებას სამედიატორო წესით ვითხოვ დაუყონებლივ ჯგუფისაგან დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა ათი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვთხოვ ორგანიზაციის ჯგუფს თვითონვე გაასწოროს თავისი ალბათ უნებლიეთი შეცთომა და მით თავიდან ამაშოროს საქვეყნოთ აღიარებული დაუმსახურებელი სახელი.

ბეჟა ჯაჯახია

—

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ რწმუნებულ გაზეთ „გრიგალში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს და მით საშუალება მომცეთ თავიდან ავიცილო ის უბედურება, რომელიც მომელის. არიან ზოგიერთნი ხორგის საზოგადოებაში, რომლებსაც სურთ რამენაირათ მავნონ და რადგან ეს თვითონ ვერ შეძლებიათ, როგორც სჩანს, შეცდომაში შეუყვანიათ ორგანიზაცია, რომ იმისი საშუალებით ცდილობენ გამომასალმონ წუთი სოფელს. უბედურების თავიდან ასაცდენათ, ვიწვევ იმ პირებს, რომელთაც შეცდომაში შეიყვანეს ორგანიზაცია და 10 აგვისტოს გამოსულ პროკლამაციაში მე გამომიყვანეს შპიონათ,—სამედიატორო სამართალში, დამიმტკიცონ ბრალდება. მედიატორების პასუხს შემდეგ დავასახელებ. პასუხი მაცნობონ რაიმე საშუალებით, ანდა გაზეთით.

მელენტი შამშეს ძე გიგიბერია.

—

რადგან „ლამპრის“ 16 ნომერში მოთავსებულ კორესპონდენციის გამო (ზემოხეთიდან) დღემდე ჩემ შესახებ სოფელში ცუდი ხმები დადის, ამიტომ სამედიატორო სამართალში ვიწვევ ხსენებულ კორესპონდენციის ავტორს. თუ ეს უკანასკნელი ამაზე თანხმა არ გახდა და ერთი კვირის განმავლობაში პასუხი არ მომცა, ამით ის დაამტკიცებს თავის ცრუობას და ჩემ უდანაშაულობას.

ვლადიმ. ბიქაშუა.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

18 სექტემბერი.

**ბახმუტი**. სამხედრო-საველე სასამართლომ ოთხ კაცს, რომლებმაც ნოვოსედსკში სახელმწიფო არყის დუქანი გაძარცვეს, ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

**ვლადიკავკაზი**. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით თერგის ოლქში სამხედრო-საველე სასამართლოები დაარსდა.

**ვორონეჟი**. ექვსმა ახალგაზდამ გაძარცვა სახელმწიფო არყის დუქანი და სიკვდილით დასაჯა რკინის გზის მეარტელე. პოლიციამ გამოიკვლია, რომ ექვსივე სემინარიელები იყვნენ. ერთი მათგანი, მღვდლის შვილი, დაიჭირეს და კიდეც გამოტყდა დანაშაულში.

**კრონშტადტი**. ამ დღეებში სასამართლო დაიწყებს სხდომებს, ჯავშნიან გემ „ალექსანდრე მეორეზე“.

**ბახმუტი**. სამხედრო-საველე სასამართლომ ორ კაცს გერთვსკის ხაზინასტო სასამართლოს გაძარცვისთვის ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

**გროდნო**. (ოფიც. კორ.). ბობრინსკის მაზრის სოფელ ზდაზოვში ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს მართმადიდებელი ეკლესია, წაიღეს 200 მანეთის შემნახველ-გამსესხებელ კასის წიგნი და 90 მანეთი ფულათ.—სოფელ ტიხოვალში თავს დაესხნენ სახელმწიფო არყის დუქნების ფულის ამკრეფს, მაგრამ მან გაქცევა მოასწრო. სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

**კოკანი**. ღამით რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებაში შევიდნენ ბოროტ-გამზრახველნი, გახვრიტეს რკინის კასა, გაიტაცეს 300 მან. და მიიმალნენ.

**ელისავეტგრადი**. უკანასკნელ დღეებში ცეცხლმა გაანადგურა რამდენიმე მამული. ზარალი 18000 მანეთამდეა.

**ლუგანსკი**. გუბერნატორმა შემოიარა დონეცის ბასეინი. ამან ხალხი დაამშვიდა. გადასახადებს პირნათლათ იხდიან. აგრარული მოძრაობა შესწყდა.

**ლოძი**. პეტრაკოვის გუბერნიის დროებით გუბერნატორს ებრძანა გამოუცხადოს მცხოვრებთ, რომ უკეთუ კიდევ ბოიკოტს გამოაცხადებენ ყველა კერძო სასწავლებლები დაიხურება.

**ტამბოვი**. სათადარიგო ჯარის კაცთა შემოწმება მშვიდობიანათ ჩაიარა. მიუხედავათ მოუსავლობისა, გადასახადებს იხდიან.

**სევასტოპოლი**. ღამით მეშჩანთა უპრავიდან მოიპარეს 187 პასპორტის კნიჟკები, 100 ძველი პასპორტი და ორი ბეჭედი.

**პეტერბურგი**. 14 ოქტომბერს პეტერბურგში მოხდება პეტერბურგის ოლქის სახალხო სკოლათა დირექტორების სიეზდი საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

**მალმიჟი**. ტყუილია გაზეთების ცნობა, თითქო მალმიჟის მაზრის 74 სოფელში არეულობა მომხდარიყოს და ისპრავნიკი და 8 დარაჯი მოეკლათ.—არეულობა მოხდა მხოლოდ მულტანში სათადარიგო ჯარის კაცთა შემოწმების დროს, რადგან ბევრს ვერ გაეგო შემოწმების მიზეზი. მოკლულია ურიადნიკი და გლეხი, მძიმეთ დაჭრილია ისპრავნიკის თანაშემწე და სამი დარაჯი. არეულობაში მონაწილეობის მიმღებნი 200 კაცი ბოქაულმა გადასწერა. ვოლოსტის სამმართველოში გამართულ მიტინგზე სამი კაცი დაიჭირეს. გამოძიება სწარმოებს.

**პეტერბურგი**. ღამით შლისელბურგის პროსპექტზე ორი ბოროტ-გამზრახველი შეხტა ტრამვაის ვაგონზე, შააჭრეს კონდუქტორს ჩანთა და გაიქცნენ.

**მოსკოვი**. უნივერსიტეტის საქტო დარბაზში სტუდენტების კრებაზე რექტორმა განაცხადა, რომ პასპორტების სისტემის შემოღება იმან გამოიწვია, რომ სტუდენტებმა სწავლის ფული გადაიხადონო. კრებები მხოლოდ ლექციების დროს აუდიტორიებში არის აკრძალული. რექტორს პასუხი გასცა 15 კაცისაგან შემდგარმა სტუდენტთა ჯგუფმა. რექტორმა განაცხადა, რომ მორიგება შესაძლებელია, მაგრამ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკების გამართვა სასწრაფოთ დაინახა.—მასწავლებლებთან და სტუდენტების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების შემდეგ რექტორმა გადასწყვიტა მოიწვიოს ხვალ ახალი კრება.—რუსთა კავშირის განყოფილებამ დეპეშა გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრ სტოლიპინს, რომლითაც ისინი შუამდგომლობენ ყველა წიგნის, რაც კი სარწმუნოებას შეეხება სასულიერო ცენზურას გადაეცეს.

**ვილნო**. გუშინ [illegible] ვილნოს ახლო იარაღის საწყობი აღმოაჩინეს. შიგ იპოვეს ვინტოვკები, რევოლვერები, პატრონები და ნახევარი ფუთი შავმალი თოფის წამალი. დაატუსაღეს ოსმალეთის სამი ქვეშევრდომი.

**სოჩი**. ღამით სოჩის ახლო თავის აგარაკში 20 ბოროტ-გამზრახველმა გაძარცვა ქამიტ ტრაპეზნიკოვი. წაართვეს 1000 მ. ფულათ და ძვირფასი ნივთები და ხელწერილი ჩამოართვეს 300 მანეთი კიდევ გადაიხადოს.

**პეტერბურგი**. მოხდა ადგილობრივ კადეტების ჯგუფის სდელეგატო კრება, მილიუკოვის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ კუტლერი, ნაბოკოვი, პეტრაჟიცკი, გესსენი, გრიმი, კუზმინ-კარავაევი, პეტრუნკევიჩი, ბებუთოვი და სხვანი. კრება გაიხსნა გერცენშტეინის ხსოვნის პატივისცემით, რომელიც დაახასიათა კუტლერმა. შემდეგ კრება შეუდგა წესდების დაწვრილებით განხილვას.

**ლოძი**. ალექსანდროვის სამოქალაქო სასწავლებელში ხელმეორეთ მივიდნენ შეიარაღებული პირნი და მოსთხოვეს შეეწყვიტათ რუსულ ენაზე სწავლება, დახიეს სასწავლო ნივთები და წავიდნენ.—ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში მოხდა სახელმწიფო სასწავლებლებზე თავდასხმა, ქალაქის ერთ სასწავლებელში ფანჯრები ჩაამტვრიეს.

**ბერდიანსკი**. მარიუპოლის მაზრის სოფ. ნოვოსპასკში მოკლეს შემნახველ-გამსესხებელ კასის ბუხგალტერი ზახარჩენკო, გაიტაცეს 16000 მანეთი.

**სარატოვი**. სკუდმინს, რომელმაც სტუსალთ უფროსი შტალოვი დასჭრა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. სასამართლო შუამდგომლობს სიკვდილით დასჯა 15 წლის კატორღით შეუცვალონ.

**თეირანი**. მოხდა პრინც კაჯარებისაგან დეპუტატების პირველი არჩევნები. ოთხი არჩეული დეპუტატი შაჰმა დაამტკიცა. მომავალ კვირაში სამღვდელოების, ვაჭრებისა და ხელოსნების დეპუტატების არჩევნები მოხდება. თეირანი სავსე მოფენილია საარჩევნო მოწოდებებით. ქალაქ თავრიზის და რეშტის სამღვდელოება დაწყნარდა. ინგლისის საელჩოში დამალულები ყველანი დაბრუნდნენ. თეირანში მოდიან ახლათ დანიშნული დიდი ბრიტანიის, გერმანიის და ავსტრიის ელჩები.

რედაქტორ-გამომცემელი **ერ. ჩანტლაძე**.

# განცხადებანი


**დაიბეჭდა და გამოვიდა**

ნოე ჟორდანიას

I

**სოც.-დემოკრატია**

II

**დემ. და ს.-დემოკრატ.**

III

**ს.-რევოლიუციონ.**

გამოცემა გ. შუბლაძისა

ისყიდება მიხეილის ქუჩაზე წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში. ვინც 50-ზე მეტს იყიდის ნაღდათ, დაუთმობს 30 პროც. და ნისიათ 20 პროც.

---

ქუთაისში, წითელი ხიდის თავში

გაიხსნა საუცხოვოთ მოწყობილი იაფ-ფასიანი **სასადილო**

**„ეკონომია“.**

სასადილოში ყოველდღე მზადდება სუფთათ და წმინდათ სხვა და სხვა საჭმელები. აქვე იყიდება ყველანაირი სასმელები.

პატივისცემით გიორგი ასათიანი და ამხ.

(6—5).

---

**— სამკაული —**

ქალაქ ანტვერპენში, ბელგიის სამეფოში, საერთაშორისო ხელოვნებისა, აღებ-მიცემობის და მეურნეობის გამოფენაზე 1906 წ., რომელსაც მფარველობდა ბელგიის პრინცი ალბერტი **ყურძნის ღვინის საუკეთესო ღირსებისათვის მიუსაჯეს**

**დიდი ვერცხლის მედალი**

მემამულე **დანიელ მაქსიმეს ძე მესხიშვილს** ქალაქ ბათუმი მიხაილოვის ქუჩა.

(3—3)

---

**ვილემ საკერავს**

ქალების კაბებს, ბავშვების ტანისამოსს და ყოველგვარ თეთრეულს,

**ძლიერ იაფ ფასებში.**

ვაგზლის ქუჩა სახლი სლივიცკის № 10.

6—4

---

გამოვიდა **„კოლხიდის“** გამოცემა

ახალი წიგნი დ. კუდრიავსკისა

„როგორ ცხოვრობდენ ძველათ ადამიანები“

თარგ. ის. კვიცარიძისა, ფასი 20 კ.

იყიდება: თფილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების და ვ. გადილიას წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში „კოლხიდაში“, ყვირილაში პლ. ლეჟავასთან, კიათურაში იონა ბელიაშვილთან, სამტრედიასა და ფოთში ძმ. კოხრეიძებთან, ბათუმში—გაზეთების სააგენტო „პორიხი“ და მიხ. კალანდაძესთან, ხონში მასიკო პელიძესთან, ნაოლალებში პ. გაგუასთან, რაჭა-ლეჩხუმში სადგურებზე: ტოლა—ლ. მახარაშვილთან, წესში ივ. პიპიძესთან, ონში დავ. კერესელიძესთან და ტყიბულნაში მიხ. კბილაძესთან.

ქუთაისის გუბერნიაში ამავე აგენტებთან იყიდება ახლათ შედგენილი **„საქართველოს ისტორია“** მ. ჯანაშვილისა, გაზეთები და სხვა საამდროვო ქართული წიგნები.

(4—4) ის. კვიცარიძე

---

**— კბილების —**

**ხელოვნურათ დაწმენდა, პლომბი, წამლობა და სხვ.**

გრ. მატ. იოხველი. მიხ. 90, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

აშორებს ცუდ სუნს.—„ოქროს პლომბები.

(10—5)

---

**სკოლა და სახელოსნო**

ჭრა-კერვისა და ხელსაქმისა

**ანა მერკვილაძისა**

იღებს ქალთა ტანისამოსს შესაკერათ, იყვანს შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლათ ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.

მამადავითის ქუჩა, გრიგორაშვილის სახლებში, ბაღის პირდაპირ, № 37. (10—2).

---

გამოვიდა და იყიდება

ახალი რუსული წიგნი

**Оглянемся назадъ**

ჟარობისა.

ფასი 20 კაპ.

---

**ОБРАЗОВАНІЕ**

**(განათლება)**

**წიგნის მაღაზია**

გაიხსნა 19 აგვისტოს ქ. თბილისში, მიხეილის პრ., ფინკინის საკანდიტეროს გვერდზედ (სახლი № 78)

მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი თანამედროვე წიგნები:

**რუსულ, ქართულ, სომხურ, პოლონურ და თათრულ ენებზე.**

მაღაზია იღებს შეკვეთას წიგნსაცავ-სამკითხველოს მოსაწყობათ, როგორც ქალაქში, ისრე პროვინციებში.

---

Состоящіе въ вѣдѣніи министерства торговли и промышленности.

**Бухгалтерскіе курсы**

**Н. В. Абраамяна,**

Автора „Руководство торг. фабр. и нефтепр. бухгалтеріи“, одобр. уч. отд. минист. финансовъ, какъ пособіе для коммерч. уч. заведеній и ихъ библіотекъ.

УЧАТЪ и ПОДГОТОВЛЯЮТЪ ЛИЦЪ ОБОЕГО ПОЛА въ 4 мѣсяца путемъ практики, бухгалтеріи.

Помимо существующихъ предметовъ на курсахъ съ этого учебнаго года будетъ преподаваться безплатно, ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМІЯ—какъ предметъ новый для курсовъ и СТЕНОГРАФІЯ (за особую плату, по желанію).

Начало занятій съ 15 сентября 1906 г. періодически черезъ каждые 4 мѣсяца ежедневно послѣ обѣда. Пріемъ прошеній съ 25-го августа ежедневно съ 5 до 7 час. вечера и 9 до 11 ч. утра. По окончаніи выдается установленный аттестатъ. разр. г. мин. финансовъ.

**Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые дополнит. и повторит. курсы рус. яз. и ариѳметики:**

Правила и программы высылаются безплатно.

Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: **Николаевская, 22**, телефонъ 744.

Вышеупомянутое руководство продается во всѣхъ книжнихъ магазинахъ Россіи. Выписывающіе у автора—наложенный платежъ не платятъ. Цѣна за экзем. 3 р. 50 к.

2-1


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ტფილისი, მახვილის ქუჩა